# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 17 თებერვალი, 2011 წელი.

№31 (6643)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ხელისუფლების კომპეტენტურობას



2

## სერიოზული ბზარი აქვს

## რამდენად შესაძლებელია კათოლიკოს-პატრიარქის სოხუმში ჩასვლა?



3

### „სიბინძურის ყულაბის“ ექო

ოქროსფრთიან ქრონიკელ ზედელაშვილს, გელასა, რომელიც ჯიუტად ეყელყელავება ასო „ყ“-ს თავის ულტრაჟანრის ღია წერილ-რეპორტაჟში




9

## ისეთივე შედეგით ხომ არ დასრულდება უსაფრთხოების კონცეფციის განხილვა, როგორითაც ახალი კონსტიტუცია დამთავრდა?!

2

## ეგვიპტელებმა ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი შექმნეს, საქართველოში კი საზოგადოებამ უკან დაიხია



4

## თუ მივეფერებით, იქნებ „ნატუკელამ“ შიგნითაც შეგვიშვას?



6



3

## მიწაზე გადასახადები გაიზარდა

## შენ გაიხარე ჩვენი მორიგი „გახარებისთვის!..“

5

პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის გამო

## ქრთამთან დაკავშირებული ისრაელური საქმე სასამართლო სისტემას ყურადღების ცენტრში აქცევს

8

## ახალი სატელეფონო ნუმერაცია



3

## პენსია: რომელ ქვეყანაში რამდენს იღებენ?

4

პროექტი

# ისეთივე შედეგით ხომ არ დასრულდება უსაფრთხოების კონცეფციის განხილვა, როგორითაც ახალი კონსტიტუცია დამთავრდა?!

## დოკუმენტში მთავარ საფრთხედ რუსეთი დასახელდება

**გაზაფხულის ბოლოს ქვეყანას უსაფრთხოების ახალი კონცეფცია ექნება. ასეთი დოკუმენტი 2005 წელსაც მიიღეს, თუმცა თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე, მიიჩნიეს, რომ დოკუმენტი გადასახედია, მეტიც — შესაცვლელი. კონცეფციის შექმნის პროცესში უწინდელისგან განსხვავებით პარლამენტი აქტიურად ჩაერთო.**

განხილვა საკანონმდებლო ორგანოში ორი დღის წინათ დაიწყო. პირველ საკონსულტაციო შეხვედრას უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია და მისი მოადგილე ბათუ ქუთელია დაესწრნენ. ასევე მონაწილეობდნენ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები: პაატა დავითაია, გიორგი თარგამაძე, გია თორთლაძე, გურამ ჩახვაძე, ნიკა ლალიაშვილი. ჯერ კიდევ განხილვის დაწყებამდე პაატა დავითაია აცხადებდა, რომ უსაფრთხოების კონცეფციაში რუსეთი უპირველეს საფრთხედ უნდა დასახელებულიყო. რასაც გამოეხმაურა კიდეც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი **ეკა ტყეშელაშვილი.** მისი თქმით, **„2005 წელს, როდესაც ეროვნული უსაფრთხოების მოქმედი კონცეფცია მიიღეს, რუსეთი საფრთხედ არ სახელდებოდა იმ იმედით, რომ ის თავის პოლიტიკას შეცვლიდა, თუმცა აგვისტოს ომის შემდეგ ნათელი გახდა, რომ რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს“.** სავარაუდოდ, ახალ კონცეფციაში ფუნდამენტური ცვლილებები სწორედ ამ მიმართულებით შევა.

კონცეფციის პირველადი მონახაზი უკვე მზად არის, თუმცა განხილვის პროცესში შენიშვნებს აუცილებლად გავითვალისწინებთ, — განაცხადა უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ. მისი თქმით, **„უსაფრთხოების კონცეფციის მთავარი ამოცანაა განისაზღვროს ის პრიორიტეტები, რომელიც საფრთხეების გასანეიტრალებლად გატარდება. ლაპარაკია საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციაზე, რუსეთის ფაქტორზე, ასევე გლობალურ თუ რეგიონულ გამოწვევებზე. აქცენტები უნდა გაკეთდეს მეთოდოლოგიაზე, ეს არის ეროვნული რესურსები, რომელიც ქვეყანას გააჩნია, ასევე არის საერთაშორისო რესურსები, ორმხრივი თუ მრავალმხრივი ზომები და ყველა ის ღონისძიება, რითაც ხდება საფრთხეების განეიტრალება“.**

კონკრეტული საფრთხეების ამსახველი დოკუმენტი ცალკე ნაწილად მომზადდება, რაშიც პარლამენტიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. საპარლამენტო უმცირესობამ საკუთარი მოსაზრებების მოკლე შინაარსი უკვე გაახმიანა. გია თორთლაძე მიიჩნევს, რომ მთავარ გამოწვევად ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის საკითხი უნდა დასახელდეს.

**გიორგი თარგამაძის** აზრით, **„იქ, სადაც საუბარია ტრადიციულ ღირებულებებსა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე, გამოყოფილად უნდა იყოს აღნიშნული ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლი. პრიორიტეტად უნდა დასახელდეს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მდგრადობის პრობლემა“.**

გურამ ჩახვაძე საგარეო ფაქტორებთან ერთად აუცილებლად მიიჩნევს შიგა პრობლემების ასახვას. „ჩვენ გვაქვს კონკრეტული შეხედულებები, თუ როგორ უნდა გავაძლიეროთ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოება. კერძოდ სოციალური სექტორი, ჯანდაცვა, რათა მოსახლეობა დაცული იყოს ის სოციალური რისკებისგან, როგორიცა უმუშევრობა, ჯანმრთელობა და ეკონომიკის ხელმისაწვდომობა“, — ამბობს ის.

მიმდინარე კვირას საკომიტეტო განხილვები დაიწყება, სადაც არა მხოლოდ დეპუტატები მიიღებენ მონაწილეობას, არამედ დასწრება შეეძლებათ პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოების ფართო ფენებს.

დავით ბაქრაძემ კიდევ ერთხელ მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს, ჩაერთონ განხილვის პროცესში: „პოლიტიკოსებს საშუალება ექნებათ თავიდანვე მიიღონ მონაწილეობა კონცეფციის შემუშავებაში და არ გადაეცეთ უკვე გამზადებული დოკუმენტი, რომელსაც დაეთანხმებიან, ან არ დაეთანხმებიან“, — დასძინა მან.

რესპუბლიკურმა პარტიამ უკვე გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი თუმცა როგორც **დავით უსუფაშვილი** ამბობს **„თუკი ქვეყანაში არ იქნება კონკურენცია და ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის შესაძლებლობა, მუდმივად იქნება დესტაბილიზაციის საშიშროება“.** „თავისუფალი დემოკრატები“ სავარაუდოდ განხილვის პროცესში ჩაერთვებიან, თუ გავითვალისწინებთ ირაკლი ალასანიას აქტიურობას უშიშროების საბჭოს სხდომებზე, „ტრადიციონალებიც“ არაერთხელ მისულან ასეთ სხდომაზე. აკაკი ასათიანი მიიჩნევს, რომ ეს ის თემაა, რასაც ოპოზიციისა და უმრავლესობის საერთო ხედვა სჭირდება.

„ახალი მემარჯვენეები“ ახალი პროექტის განხილვაში მონაწილეობას არ აპირებენ, თუმცა პარლამენტს საკუთარ წინადადებებს მიაწვდიან. როგორც დავით გამყრელიძე ამბობს, ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერთვებიან განხილვაში, თუკი პროცესი ინტერპარტიულ ფორმატში წარიმართება და არა პარლამენტში. **„ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია გრძელვადიანი დოკუმენტია, ხოლო დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე მოკლევადიან პერიოდზე გათვლილი გადაუდებელი ზომების მიღებაა აუცილებელი, რათა დაძაბულობის შესაძლო ესკალაციის თავიდან აცილება დროულად მოხერხდეს“,** — ამბობს ის.

როგორც ავღნიშნეთ, განხილვის პროცესი რამდენიმე თვე გასტანს. ჯერ არავინ იცის, რა იდეებს წამოაყენებენ პოლიტიკოსები. სავარაუდოდ, კონცეფციის რაღაც ნაწილი აუცილებლად უნდა დაეთმოს „ერთიანი კავკასიის“ იდეას, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ლობირებს. თუმცა სააგენტო „Regnum“-თან საუბარში თურქი პოლიტოლოგი მეხმეტ პერინჩეკი ამბობს, რომ „კავკასია რუსეთის, თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ არ უნდა ერთიანდებოდეს. ეს იდეა ამ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის მიზანს უნდა ემსახურებოდეს და რეგიონში აშშ-ის გავლენის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. ასეთ თანამშრომლობას ჩვენ მხარს ვუჭერთ, მაგრამ თუკი ეს ამერიკული თამაში აღმოჩნდება, კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნებით“, — აღნიშნავს ის.

**ასე რომ, ვნახოთ, რამდენად მნიშვნელოვან ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას მიიღებს ქართული საზოგადოება (რა თქმა უნდა, განხილვა ისეთივე შედეგით თუ არ დამთავრდა, როგორითაც ახალი კონსტიტუცია) და თუ შეძლებს ოქროს შუალედის გამონახვას.**

თეა მოსია

განსჯა



**რას შეიძლება ნიშნავდეს ხელისუფლების პროექტების განხორციელების ვადად პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ განსაზღვრული 2015 წელი, რა როლის შესრულება შეუძლია გერმანიის კანცლერ მერკელს ქართულ-რუსულ ურთიერთობებში და რა ხდება თავად რუსეთში, „ინტერპრესნიუსი“ ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძეს ესაუბრა.**

**— ბატონო ნოდარ, პარლამენტში გამოსვლისას პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ 2015 წელზე ყურადღების გამახვილებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ითქვა, რომ 2015 წელზე მინიშნებით სააკაშვილმა 2013 წლის შემდეგ ხელისუფლებაში პრემიერ-მინისტრის რანგში დარჩენის სურვილი გაამჟღავნა. პრეზიდენტის განცხადებები რისი მტკიცების საფუძველს უფრო იძლევა — სააკაშვილი 2013 წლის შემდეგ პრემიერ-მინისტრი იქნება, თუ იგი დარწმუნებულია, რომ 2015 წელს ხელისუფლებაში კვლავ „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება?**

— ძალიან ნიშანდობლივია, რომ 2015 წელი პრეზიდენტმა დაასახელა და ამის შესახებ საზოგადოება და პრესა მსჯელობენ. პრეზიდენტს თანამდებობაზე ყოფნის ვადა 2013 წელს უმთავრდება, მან კი უმნიშვნელოვანესი პროექტების დასრულების ვადად 2015 წელი დაასახელა. რაც შეეხება თქვენს კითხვას - პრეზიდენტის შეტყობინება მეტყველებს იმაზე, რომ პრეზიდენტის განზრახვაა, „ნაციონალური მოძრაობა“ დატოვოს ხელისუფლებაში და თავადაც ხელისუფლებაში დარჩეს. პრეზიდენტის განცხადებების პათოსი ასეთია — „მე და ჩემი გუნდი გავაკეთებთ“. ყველაფრიდან ჩანს, რომ ყველაფრის სუბიექტი თავად პრეზიდენტია. თუ იგი სუბიექტია, 2015 წელს მოსავალი სწორედ მან უნდა მოიმკას.

**— ფაქტია, რომ ხელისუფლება არც საპარლამენტო და არც პარლამენტსგარეთ დარჩენილ ოპოზიციას არაფრად აგდებს და განაგრძობს მტკიცებას, რომ ოპოზიციის ნაწილი შეურაცხადი, ხოლო მეორე ნაწილი არაკომპეტენტურია. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია ხელისუფლების მტკიცება? და კიდევ, 10-ბალიანი შეფასების პირობებში თქვენ თავად რამდენი ქულით შეაფასებდით ხელისუფლების კომპეტენტურობას?**

— დავიწყოთ იმით, რომ ასეთი შეფასება და დაყოფა გოკა გაბაშვილმა გააკეთა. სხვათა შორის ამგვარი რამ პრეზიდენტს არ განუცხადებია. მოგეხსენებათ, პრეზიდენტს უფრო მკვახე შეფასებებიც ეხერხება, მაგრამ ამ შემთხვევაში მსგავსი რამ არ უთქვამს. გოკა გაბაშვილმა ამ საკითხზე უმრავლესობის შეხედულება გამოხატა. ხელისუფლება ოპოზიციის შეურაცხადად და არაკომპეტენტურად დაყოფისა და წარმოჩენის ტრადიციას აგრძელებს. ხელისუფლებას ცხოვრების გაკვეთილებიდან დასკვნები უნდა გამოეტანა, მაგრამ კვლავ აგრძელებს მოქალაქეების დაყოფის პრაქტიკას. მოქალაქის შერაცხადობა ან შეურაცხადობა შესაბამისმა კომისიამ უნდა განსაზღვროს. თუ ეს ოპოზიციის კნინობითი ფორმით წარმოჩენას ემსახურება, ამგვარი რამ პოლიტიკოსის მხრიდან ყოვლად გაუმართლებელი ნაბიჯია, ვინაიდან ეს ადამიანების დამცირების გარდა, ცინიზმია. იმ საკითხში, რაშიც პრეზიდენტმა ოპოზიციას არაკომპეტენტურობა უსაყვედურა, თავად გამოავლინა არაკომპეტენტურობა. გაბაშვილის გამოსვლას საგნობრიობა აკლდა და შეფასებაზე და იარლიყის მიწებებაზე იყო ორიენტირებული. გარდა ამისა ის, რომ პრეზიდენტს პასუხი არ გაუცია პოლიტიკურ ბრალდებაზე მისი და ხელისუფლების კორუმპირებულობის შესახებ, დამაფიქრებელია და ამაზე დასკვნები საზოგადოებამ უნდა გამოიტანოს.

ხელისუფლების კომპეტენტურობას 6, მაქსიმუმ 7 ქულით განვსაზღვრავდი. ხელისუფლების რიტორიკა მოსახლეობის „დაბოლებას“ ემსახურება. როგორც წესი, პროპაგანდა კომპეტენტურობით არც გამოირჩევა. როცა პროპაგანდა ფაქტებზე არ რეაგირებს, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლების კომპეტენტურობას სერიოზული ბზარი აქვს გაჩენილი. კომპეტენტური ადამიანები დებატების დროს პროპაგანდისტული ტერმინებით მსჯელობის უფლებას თავის თავს არ აძლევენ.

## ხელისუფლების კომპეტენტურობას სერიოზული ბზარი აქვს



**— ოპოზიცია სულ უფრო ხშირად საუბრობს მოახლოებულ სოციალურ ბუნტზე. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია სოციალურ ბუნტზე საუბარი?**

— ჩემი აზრით, საბედნიეროდ, საქართველოში სოციალური ბუნტი არ განხორციელდება. მე ეკონომისტი არ ვარ, მაგრამ ის რომ, ვაუჩერიზაცია ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას ემსახურება, ეჭვს არ იწვევს. ამდაგვარი ფინანსური ინექციები რომ ინფლაციის რისკებს ზრდიან, უდავოა. თუ ინფლაცია შეიძლება იყოს სოციალური ბუნტის წინაპირობა, მაშინ გამოდის, რომ თავად ხელისუფლება უყრის საფუძველს სოციალურ ბუნტს. მე მაინც ვფიქრობ, რომ საქართველოში საქმე ბუნტამდე და მუბარაქიზაციამდე არ მივა.

**— პრეზიდენტმა სააკაშვილმა გერმანულ გაზეთს განუცხადა, - „რუსეთის ხელისუფლება ისე იქცევა, თითქოს საქართველოს ხელისუფლებას არ ამჩნევს“. მიუნხენის კონფერენციაზე პრეზიდენტმა რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაში დახმარება გერმანიის კანცლერს მერკელს სთხოვა. ვითარებაში, როცა გერმანია რუსეთს საფრთხედ არ განიხილავს და რუსული ბაზრით არის დაინტერესებული, რა როლის შესრულება შეუძლია მერკელს თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაში, ამ მიმართულებით რამე სიახლის მოლოდინი რამდენად შეიძლება გვქონდეს?**

— გავრცელებული აზრია, რომ მერკელი რუსეთთან და რუსულ მმართველ ელიტასთან მიმართებაში არც ისე მიუკერძოებელია. ამასაც რომ თავი დავანებოთ, თავისთავად ცხადია, რომ მერკელი რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე კრემლთან საუბრისას უპირველესად თავისი ქვეყნის ინტერესებით იხელმძღვანელებს. იმისთვის, რომ რუსეთმა საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის მმართველებად ჩათვალოს, ეს ქართული ისტებლიშმენტის საქმე და საზრუნავია. თავად ქართულმა ისტებლიშმენტმა უნდა შექმნას წინაპირობა, რომ ქართული ხელისუფლების ცნობა რუსეთისათვის გარდაუვალი გახდეს.

რუსულ-ქართული ურთიერთობების გაუმჯობესებაში მერკელის ძალისხმევისაგან რამე ხელშესახებ შედეგს არ ველი. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ყველა ქვეყანას სჭირდება ინვაზია, ანუ სხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით შესვლა, მერკელი სიხარულით შეხვდებოდა პრეზიდენტის ინიციატივას საქართველოში გერმანული მასწავლებლების ჩამოყვანის შესახებ. გერმანია საქართველოში თავის დაუსაქმებელ მასწავლებლებს დაასაქმებს და ამით საქმე დამთავრდება.

**— თქვენი აზრით, რა ხდება დღევანდელ რუსეთში და, სავარაუდოდ, რას შეიძლება ელოდოს საქართველო რუსეთისგან?**

— რუსეთში მიმდინარეობს პროცესი, რომლის პროგნოზი ჯერ ძალიან ძნელია. საქმე იქითკენ მიდის, რომ შესაძლოა, რუსეთი დემოკრატიის ჩიხში მოემწყვდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთში დემოკრატიზაციის პროცესი ჩიხში შევა. მრავალეროვან, მრავალკონფესიურ უზარმაზარ ქვეყანაში, სადაც განვითარების თვალსაზრისით რეგიონები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან, პრობლემები დემოკრატიაში გარკვეულ ტერიტორიებზე უკონტროლო ვითარებას გამოიწვევს. დღევანდელი რუსული იმპერიის მთავარი ნიშან-თვისება სწორედ ეს გახლავთ. ჩემი აზრით, პროცესები ისე ჩქარა ვითარდება, რომ უახლოეს წლებში რუსეთს არც ისე კარგი მომავალი აქვს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მედვედევი და პუტინი ხელისუფლებიდან და პოლიტიკური სცენიდან წავლენ, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა უახლოეს ხანებში არ გამოსწორდება. ასეთ ვითარებაშიც კი, პროცესები არა სწრაფად, არამედ ფორსირებულად განვითარდება. ერთ-ერთი საუკეთესო კონფლიქტოლოგს, ჟან პოლ ლედერახს აქვს გამოთქმული აზრი — კონფლიქტის დარეგულირებას იმდენივე წელი სჭირდება, რამდენიც წინ უძღოდა კონფლიქტს და რამდენიც კონფლიქტი მიმდინარეობდა. რომ არაფერი ვთქვათ სსრკ-ს დაშლამდე არსებულ წინააღმდეგობებზე, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, რუსეთთან სულ კონფლიქტი გვაქვს. ასე რომ, რუსულ-ქართული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად საკმაოდ დიდი დრო დაგვჭირდება. სააკაშვილს კი ჰგონია, რომ სამყარო ფორსირებადია, მაგრამ რეალურად ასე არ არის. ზოგიერთი ფიზიკოსი იმასაც ამტკიცებს, რომ დრო აჩქარდა. მე არა მგონია, რომ დრო აჩქარდა და სოციალური პროცესები ყოველთვის ფორსირებულად მიმდინარეობს.

კობა ბენდელიანი

ვარაუდი

# რამდენად შესაძლებელია კათოლიკოს-პატრიარქის სოხუმში ჩასვლა?

**კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილის აზრით, „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სოხუმში ჩასვლა აფხაზებში რუსების მიმართ გაღიზიანებას გამოიწვევს“.**



როგორც „პირველს“ ზაქარეიშვილმა განუცხადა, მას „ვერ წარმოუდგენია, რამდენად შესაძლებელია მისი უწმინდესობის აფხაზეთში ჩასვლა, თუმცა ეს მხოლოდ რუსეთის საპატრიარქოსთან შეთანხმებითაა შესაძლებელი“.

**„ჩემი გადასახედიდან ვერ ვხედავ, როგორ შეიძლება, პატრიარქის აფხაზეთში ჩასვლა განხორციელდეს, მაგრამ, რადგან იგი ამ განცხადებას აკეთებს, ალბათ, რაღაც საფუძველი აქვს. ძალიან გამიხარდება, თუ ეს შესაძლებელი აღმოჩნდება. თუ პატრიარქი მართლაც ჩავიდა რეგიონში, ეს აფხაზურ საზოგადოებაში რუსული კულტის წინააღმდეგ სერიოზულ დაპირისპირებას გამოიწვევს, ვინაიდან ყველა ჩათვლის, რომ ეს რუსებმა გააკეთეს. ცხადია, პატრიარქი თავისით იქ ვერ ჩავა და ეს რუსეთის ეკლესიასთან შეთანხმებით თუ მოხდება, ამიტომ ვფიქრობ, აფხაზეთში ანტიქართული და ანტირუსული გამოსვლებიც იქნება“,** — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

ამასთან, კონფლიქტოლოგის აზრით, „პატრიარქის ვიზიტი ქართული და აფხაზური საზოგადოების დაახლოებას ხელს ვერ შეუწყობს, რადგან აფხაზები ამისთვის ჯერ მზად არ არიან“.

**„დაახლოება ამით ვერ მოხდება, — ჯერ ამის დრო არ არის. 4-5 წელი მაინცაა საჭირო, რომ აფხაზებმა ის აღიარება „გადახარშონ“, რაც მიიღეს და მიხვდნენ, რომ ეს აღიარება არაფერია. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება, უკვე შეცვლილ საქართველოსთან დაახლოება დაიწყოს. დღეს, როდესაც ასეთი დაძაბული მდგომარეობაა, ნებისმიერი ნაბიჯი შეიძლება, კონტრპროდუქტიული იყოს, მაგრამ პატრიარქის ნება ასეთია და ვნახოთ, რა გამოვა აქედან“,** — დასძინა ზაქარეიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პარტიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორეს განცხადებით, „იგი, როგორც ეპარქიის ხელმძღვანელი, აფხაზეთში მალე ჩავა“. ამის შესახებ გაერთიანებულ სამეფოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა პატრიარქმა BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში ბრძანა.

უწმინდესი საქართველოში უკვე დაბრუნდა.

**ნინო ჩიჩუა**

ინფორმაცია

## ჯერ ზარალის ანაზღაურება, მერე – კომპენსაცია

აფხაზეთი მხოლოდ მაშინ დაიწყებს ქართველი დევნილებისათვის კომპენსაციის გადახდის საკითხის განხილვას, როცვ საქართველო ჩვენ იმ ზარალს აგვინაზღაურებს, რომელიც 1992-1993 წწ ომის დროს მოგვაყენა, — განაცხადა აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა.

— აფხაზეთი დაზარალდა საქართველოსთან ხანგრძლივი ომით და მან ჩვენ 13 მილიარდი რუბლი კომპენსაცია უნდა გადაგვიხადოს. მაშინ, როდესაც საქართველო ჩვენ ამ თანხას დაგვიბრუნებს, დავიწყებთ კომპენსაციის საკითხის განხილვას, მანამდე კი — ბოდიში! — განაცხადა ბაღაფშმა იმ ქართველი ეროვნების ადამიანების მოთხოვნების კომენტირებისას, რომლებმაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს.

## სააკაშვილი კავკასიის დანგრევისთვის ემზადება

ზღაპრები აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების შესახებ, მიხეილ სააკაშვილმა თბილისში თავის ტელემაყურებელს მოუყვეს — განაცხადა აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა სოხუმში მოწყობილ პრესკონფერენციაზე და აღნიშნა, რომ აფხაზეთი საქართველოსთან ნორმალურ და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს ემხრობა, თუმცა საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებასთან ეს შეუძლებელია.

— უცხო ქვეყნის ელჩები, გაეროსა და ევროკავშირის წარმომადგენლები ყოველთვის მარწმუნებდნენ, რომ სააკაშვილი დიდი დემოკრატია და მას მშვიდობა უნდა. მაგრამ ვარ რა რეალისტი, მე ვამბობდი, რომ სააკაშვილი იომებს. 2008 წლის აგვისტოში კი ყველა დარწმუნდა ჩემი სიტყვების სისწორეში, — განაცხადა ბაღაფშმა.

მისივე თქმით, — სააკაშვილი აგრესორია და თავისი მფარველების დახმარებით ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დაანგრიოს კავკასია და სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში ომი გააჩაღოს.

— ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას სააკაშვილი აცხადებდა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართებაში ძალის გამოყენება დაუშვებელია, ორი კვირის შემდეგ კი განაცხადა, რომ აფხაზეთი ეს აღთქმული მიწაა და ახალ წელს იგი სოხუმში უნდა შეხვდეს, — განაცხადა ბაღაფშმა.

ჯი-ეიჩ-ენი

კავშირგაბმულობა

# ახალი სატელეფონო ნუმერაცია

**ყველაფერი თავის ჯერით მიდის, ყველაფერი იცვლება დროთა განმავლობაში. ჩვენს ისედაც სწრაფად ცვლად სამყაროში კი, ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად ცვალებადი სფეროა კავშირგაბმულობა, რასაც თუნდაც ბოლო თაობის მობილური ტელეფონები და კომუნიკაციების ათასგვარი სხვა საშუალება მოწმობს. ცვლილებები ამ სფეროში, ცხადია, საქართველოშიც ხდება. კერძოდ, 2011 წელს იცვლება სააბონენტო ნომრებისა და კოდების სიგრძე და ფორმატი, აგრეთვე აკრეფის წესები, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კოდები.**



შარშან ნოემბერში საქართველოს მთავრობამ ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულება დაამტკიცა, რომელშიც ახალ სისტემაზე გადასვლის საორგანიზაციო-ტექნიკური გეგმის დეტალებია გაწერილი.

მათ შორის, 2011 წლის 1 მარტიდან საქართველოს მხარეებთან დასაკავშირებელი სატელეფონო კოდები შეიცვლება და ექვსნიშნა გახდება. ამის შემდეგ ძველი კოდები კიდევ ერთ თვეს იმოქმედებს და 1 აპრილს გაუქმდება. ამრიგად, **დასავლეთ საქართველოს რაიონების ნომრები „4“-ით, აღმოსავლეთ რაიონების ნომრები კი „3“-ით დაიწყება.**

კერძოდ, **რუსთავის გეოგრაფიული ზონის კოდი (დანიშნულების ეროვნული კოდი — NDC) იქნება 341, ახალგორის — 342, ცხინვალის — 344, სტეფანწმინდის — 345, დუშეთის — 346, ჯავის — 347, თიანეთის — 348, ახმეტის — 349, თელავის — 350, საგარეჯოს — 351, ყვარლის — 352, გურჯაანის — 353, ლაგოდეხის — 354, მარნეულის — 355, დედოფლისწყაროს — 356, მარნეულის — 357, ბოლნისის — 358, თეთრიწყაროს — 359, დმანისის — 360, ნინოწმინდის — 361, ახალქალაქის — 362, წალკის — 363, ბორჯომის — 364, ახალციხის — 365, ადიგენის — 366, ბორჯომის — 367, ხაშურის — 368, ქარელის — 369, გორის — 370, კასპის — 371, გარდაბნის — 372, მცხეთის — 373, თიღვის — 374, მესტიის — 410, სამტრედიის — 411, აბაშის — 412, სენაკის — 413, ხობის — 414, ზუგდიდის — 415, წალენჯიხის — 416, ჩხოროწყუს — 417, მარტვილის — 418, ჩოხატაურის — 419, ბათუმის — 424, ხულოსი — 423, შუახევის — 424, ქედის — 425, ქობულეთის — 426 და ხელვაჩაურის — 427.**

წლეულს 1 ივნისიდან კი თბილისში **ამჟამად მოქმედი ექვსნიშნა სატელეფონო სააბონენტო ნუმერაცია შვიდნიშნით შეიცვლება** და, შესაბამისად, თბილისის კოდი „32“ იქნება, ხოლო კონკრეტულ სატელეფონო ნომრებს წინ ციფრი „2“ დაემატება. ასევე 1 ივნისიდან მობილური **სატელეფონო კავშირის კოდის პირველი ციფრი „8“, ყველა ოპერატორს „5“-ით შეეცვლება.**

საერთოდ გაუქმდება „8“-იანი კოდი, 1 ნოემბრიდან ოპერატორებს „10“-იანი კოდი მიენიჭებათ (მაგალითად — 8-16 ნაცვლად იქნება 10-16ძ. იმავე დღიდან, საქალაქთაშორისო ზარების განსახორციელებლად, აბონენტებმა ჯერ კოდი „0“, ხოლო საერთაშორისო ზარებისთვის — კოდი „00“ უნდა აკრიფონ.

უნდა ითქვას, რომ საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის დამყარება ორი გზით განხორციელდება: **ოპერატორის მეშვეობით — ოპერატორის არჩევის კოდი, ვთქვათ, 10-16, შემდეგ ეროვნული პრეფიქსი — 0, ქალაქის კოდი და აბონენტის ექვსნიშნა ნომერი.** მაგალითად, ბათუმში დასარეკად აიკრიფება 10-16 0 422 და XX XX XX (ანუ აბონენტის ექვსნიშნა ნომერიძ; **ოპერატორის დაუხმარებლად — ეროვნული პრეფიქსი 0, ქალაქის კოდი და აბონენტის ექვსნიშნა ნომერი.** მაგალითად, ბათუმში დასარეკად აიკრიფება 0 422 და XX XX XX (აბონენტის ექვსნიშნა ნომერიძ.

**დალი ხუნდაძე**

„იყიდება საქართველო“

# მიწაზე გადასახადები გაიზარდა

**თბილისის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე გადასახადი თითქმის გაორმაგდა. შესაბამისი გადაწყვეტილება დედაქალაქის საკრებულომ უკვე მიიღო.**

აქამდე, ქალაქ თბილისში მდებარე „კარგ მიწებზე“ ქონების გადასახადი ერთ ჰექტარზე წლიურად 57 ლარი იყო, „მწირ მიწებზე“ — ჰექტარზე 31 ლარი. საკრებულოს გადაწყვეტილებით კი, ქონების გადასახადი თბილისში „კარგ მიწებზე“ ჰექტარზე 100 ლარი იქნება, ხოლო „მწირ მიწებზე“ — 74 ლარი.

რაც შეეხება თბილისის თანამდევ დასახლებებს — წავკისი, კოჯორი, ტაბახმელა, შინდისი, დიდება, კვესეთი, სამადლო, კიკეთი, ნასაგურალი, ახალდაბა, დიდი ლილო და ვარკეთილი, აქ ქონების გადასახადი ადრე კარგ მიწებზე 52 ლარი იყო, მწირ მიწებზე კი — ჰექტარზე 27 ლარი. საკრებულოს ახალი გადაწყვეტილებით, ამ დასახლებების სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ქონების გადასახადი კარგ მიწებზე 95 ლარი იქნება, მწირზე კი -- 70 ლარი.




თბილისის დასახლებებს მიკუთვნებულ სოფლებში მიწის გადასახადი გაიზარდა. შესაბამისი გადაწყვეტილება დედაქალაქის საკრებულომ მიიღო.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ქონების გადასახადის გაზრდა შეეხოთ სოფლებს: დიღომი, მშრალხევი, დაბა ზაჰესი, გლდანი, დიდგორი, ზურგოვანა, თელოვანა, ძველი ვეძისი, აგარაკი, თხინვალი, სოფელ გლდანიდან ავჭალის დასახლებამდე — საბაღე ნაკვეთები, გიორგიწმინდა — საბაღე ნაკვეთები, მუხიანის მიმდებარე საბაღე ნაკვეთები, ხევძმარის მიმდებარე ავშიანის დასახლება, ლოტკინის დასახლების სანერგე მეურნეობა, რესის მიმდებარე დასახლება და თბილისის ზღვის დასახლება.

კერძოდ, ამ სოფლებსა და დასახლებებში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე ქონების გადასახადი ერთ ჰექტარზე, წელიწადში, „კარგ მიწებზე“ 39 ლარი იყო, „მწირ მიწებზე“ კი — 21 ლარი. დედაქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით კი, „კარგ მიწებზე“ გადასახადი წელიწადში 82 ლარი იქნება, „მწირ მიწებზე“ კი გასამმაგდება და 64 ლარი გახდება.

ქონების გადასახადი იზრდება თბილისის ტერიტორიაზე არსებულ სათიბებსა და საძოვრებზეც.

აქამდე, სათიბების მფლობელებს 1 ჰექტარზე წელიწადში 6 ლარის გადახდა უწევდათ, საძოვრების მფლობელებს კი — 3 ლარის. გაკულტურებული სათიბების გადასახადი წელიწადში 8 ლარი იყო, საძოვრების კი — 4.

დედაქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით, სათიბებზე ქონების გადასახადი წელიწადში 18 ლარი იქნება, საძოვრებზე — 15 ლარი. გაკულტურებულ სათიბებზე — 20 ლარი, ხოლო საძოვრებზე — 16 ლარი. საკრებულოს გადაწყვეტილება უკვე ძალაშია.

თბილისის ტერიტორიაში შედის სოფლები დიღომი, მშრალხევი, დაბა ზაჰესი, გლდანი, დიდგორი, ზურგოვანა, თელოვანა, ძველი ვეძისი, აგარაკი, თხინვალი, წავკისი, კოჯორი, ტაბახმელა, შინდისი, დიდება, კვესეთი, სამადლო, კიკეთი, ნასაგურალი და ახალდაბა.

თბილისში 600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მეტის და ორმანქანიანი ავტოფარეხების მფლობელებს ქონების გადასახადის გადახდა მოუწევთ. დედაქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედაქალაქში ქონების გადასახადისგან გათავისუფლებულია პირი, რომლის საცხოვრებელი სახლიც 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფართობზეა.

ასევე, ქონების გადასახადისგან გათავისუფლებულია ავტოფარეხებზე მიმაგრებული 18 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც მხოლოდ ერთ მანქანას იტევს.

რაც შეეხება ქონების გადასახადის ოდენობას, ის მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გადასახადის საბაზისო განაკვეთის შესაბამის ტერიტორიულ კოეფიციენტზე გადამრავლებით გამოიანგარიშება. გადასახადის საბაზისო განაკვეთი ერთ კვადრატულ მეტრზე 0,24 ლარია.

ამასთან, ადგილობრივი სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვისას დედაქალაქში მოქმედ ორგანიზაციებს ქონების გადასახადი შეუმცირეს.

აქამდე, ადგილობრივი სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვისას მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტისა და ავტობუსებისთვის (M3 კატეგორია — 5 ტონაზე მეტიძ გადასახადის წლიური განაკვეთი, მათ ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,2 პროცენტს შეადგენდა.

დედაქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით კი, წლიურმა განაკვეთმა 0,01 პროცენტამდე დაიწია. საკრებულოს გადაწყვეტილებითვე, ეს განაკვეთი 2013 წლის 1-ელ იანვრამდე შენარჩუნდება.

დედაქალაქის საკრებულომ მხოლოდ სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვების ნაწილში მიიღო განაკვეთის შემცირების გადაწყვეტილება, დანარჩენ მიმართულებებში განაკვეთები იგივე დარჩა ან გასამმაგდა და გაორმაგდა.

№ 31. ხუთშაბათი, 17 თებერვალი, 2011 წელი.

ვინ — ვის?



*ეგვიპტესა და ტუნისში მომხდარმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ააფორიაქა ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი. ბოლო დროს სულ უფრო ბევრს საუბრობენ ამ ქვეყნებში მომხდარი ცვლილებების მიზეზებზე და საქართველოსთან პარალელების გავლებას ცდილობენ. რამდენად გამართლებულია ასეთი პარალელები და შესაძლებელია თუ არა მოვლენების „არაბული სცენარით“ განვითარება?*

*ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ფილოსოფოსსა და პოლიტოლოგს ზაზა ფირალიშვილს ესაუბრა.*

# ეგვიპტელებმა ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი შექმნეს, საქართველოში კი საზოგადოებამ უკან დაიხია

**— ტუნისსა და ეგვიპტეში განვითარებული მოვლენები რა გავლენას იქონიებს ოპოზიციურად განწყობილი ქართული საზოგადოების ნაწილზე, არის თუ არა ის მზად მსგავსი ცვლილებებისთვის?**

— რა თქმა უნდა, ეგვიპტის და ტუნისის მაგალითზე ვისწავლით როგორ უნდა მივიყვანოთ საქმე ბოლომდე, რომ შევცვალოთ ხელისუფალი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეგვიპტელებს შეუძლიათ შექმნან ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი. ჩვენთან კი, განსხვავებული რამ მოხდა. სწორედ მაშინ, როდესაც პოლიტიკურმა დაძაბულობამ პიკს მიაღწია, საზოგადოებამ აღმოაჩინა, რომ ალტერნატიული პოლიტიკური ძალის გარეშე იყო და ამიტომ დაიხია უკან. ხელისუფლებამაც კარგად იმუშავა ამ მხრივ და ოპოზიციას ზუსტად დაარტყა. ოპოზიციის დღევანდელმა დაპირისპირებამ კი, საზოგადოება თავისი მოქმედების სისწორეში დაარწმუნა.

**— ეგვიპტის და ტუნისის მოვლენებმა ერთი საშიში ტენდენციაც გამოავლინა: ხელისუფლებათა ცვლას წინ უძღოდა სისხლისღვრა.**

— ასეთი რამ დამოკიდებულია პოლიტიკურ გარემოზე, ტრადიციებსა და მენტალობაზე. სხვათა შორის, ეგვიპტეში რამდენიმე ასეული ადამიანის სიკვდილი დიდად არ განუცდიათ. ყოველ შემთხვევაში, ეს არ გამხდარა პროცესების განვითარების მიზეზი.

**— როგორც ირკვევა, ბოლო 30 წლის განმავლობაში აშშ-მ ეგვიპტეში დემოკრატიული პროცესების ხელშესაწყობად 60 მილიარდი დოლარი დახარჯა, ჩვენი ქვეყნის მასშტაბებიდან გამომდინარე, აქაც არანაკლები თანხებია დახარჯული, შედეგი კი არც ისე სახარბიელოა.**

— აშშ დემოკრატიული პროცესების განსავითარებლად ინვესტიციებს საქართველოში შევარდნაძის დროსაც სდებდა და დღესაც, თუმცა სახარბიელო მდგომარეობა ნამდვილად არ გვაქვს. ასე რომ, ეს თანხები დღესაც ისე ისრუტება, როგორც ადრე. დემოკრატიის ექსპორტირება შეუძლებელია. ცივილიზებულ სამყაროს შეუძლია გვიჩვენოს მხოლოდ ნიმუში დემოკრატიულობისა და მეტი არაფერი. მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს აი იმ „წერტილების“ განვითარებას, რომლებიც ჩვენში ატარებდნენ დემოკრატიულ პოტენციალს. ექსპორტირება ამისი შეუძლებელია, მით უმეტეს, რევოლუციური და მკვეთრი ცვლილებების სახით.

**— კონკრეტულად, რა უშლის ხელს დემოკრატიის განვითარებას, მენტალობა, ისტორია, გეოპოლიტიკური ფაქტორები, სამოქალაქო საზოგადოების არარსებობა თუ რა?**

— დემოკრატიას სჭირდება საზოგადოებაში კრიტიკულად განწყობილი ადამიანების დიდი რაოდენობა, რომელსაც მაღალი მოქალაქეობრივი ღირსება გააჩნია და რომლებიც არ დაუშვებენ იმას, რომ ვიღაცამ განუკითხავად განაგოს მათი ბედი. რა თქმა უნდა, ამაში დამნაშავეა საზოგადოება, საზოგადოების ცნობიერება, ის რასაც თქვენ მენტალიტეტს უწოდებთ. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ 70 წლის განმავლობაში ბოლშევიკები შეგნებულად სპობდნენ მოაზროვნე ადამიანებს, როლებსაც ჰქონდათ უნარი და შესაძლებლობა, საკუთარი ბედი თვითონ ემართათ. იგივე ინტელიგენცია, არისტოკრატია, სასულიერო ფენა, ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც თუნდაც ეკონომიკური აქტივობით არ გამოირჩეოდნენ, ხელისუფლებაზე არ იყვნენ დამოკიდებული. ასეთი ადამიანების დიდი ნაწილი მოსპეს. სწორედ ეს ფენაა დემოკრატიული პოტენციალის მატარებლები. დღეს ხელახლა იბადება მოაზროვნე საზოგადოება, ანთროპოლოგიური ფსიქოკულტურული ტიპი საქართველოში. დღეს ჯერჯერობით მათი დეფიციტია, მაგრამ აშკარაა, რომ პროცესი მიდის და ეს ყველაფერი ნაყოფს გამოიღებს, როგორც ეს გამოიღო ეგვიპტესა და ტუნისში. რაც შეეხება საქართველოს, პროცესი მიდის, მაგრამ პროცესების ხელოვნურად დაჩქარება შეიძლება ძალიან ცუდად შემოგვიბრუნდეს. დღევანდელი ქართველი ის აღარ არის, რაც იყო 20 წლის წინათ, რომლისთვისაც ავტორიტარული მმართველობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. დასავლეთი რომც არ დაგვხმარებოდა, ეს პროცესი მაინც წავიდოდა. შეიძლება ისე ინტენსიურად და ისეთი მასშტაბებით არა, როგორც დღეს ხდება, მაგრამ მაინც წავიდოდა. ამიტომ ეს არის ბუნებრივი მდგომარეობა ადამიანებისა, საზოგადოებისა, რომ მასში იყოს კრიტიკული მასა, რომელიც საკუთარი მოქალაქეობრივი ღირსების მატარებლები არიან. დღევანდელი ქართველი კაცი ისეთ გულუბრყვილო ლოზუნგებს აღარ წამოეგება, როგორსაც წამოეგებოდა 90-იანი წლების დასაწყისში. სატელევიზიო არქივებში გადახედეთ და ნახავთ, როგორი გულუბრყვილო იყო, წმინდა სოციალური, მოქალაქეობრივი, გნებავთ, პოლიტიკური თვალსაზრისით. დღეს საქმე იდეალურად არ არის, მაგრამ პროგრესი სახეზეა. სამოქალაქო თუ პოლიტიკური სიმწიფე, ეს არის სიტუაცია, როდესაც საზოგადოებას შეუძლია შექმნას ალტერნატიული პოლიტიკური ძალები, ანუ მისთვის ხელისუფლების დამხობა არ უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკური კრიზისის დასაწყისს. ჯერჯერობით ჩვენი საზოგადოება ამას ვერ ახერხებს. მან ვერ შექმნა ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი, პოლიტიკური ძალა, საამისოდ რესურსები არ ეყო.



თანამშრომლობა

# უმჯობესდება კორპორაციული მართვის პრაქტიკა

**კორპორაციული მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებაში ქართული კომპანიებისთვის სათანადო დახმარების გაწევა — ეს გახლდათ მსოფლიო ბანკის (WB) ჯგუფის წევრის — საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ განხორციელებული პროექტის მიზანი, რომელიც წარმატებით დასრულდა.**

თავად პროექტის ავტორთა განმარტებით, კომპანიების პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების მეტად გათვითცნობიერება, ასევე მაქსიმალური გამჭვირვალობის პრინციპის დანერგვა მათი მომგებიანობის ზრდისა და ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. ასევე აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ (რომლის წევრი საქართველო 1995 წლიდანააძ) განხორციელებულმა **პროექტმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კორპორაციული მართვის საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესებასა და საქართველოს ბანკების ასოციაციის მიერ ნებაყოფლობითი კორპორაციული კოდექსის მიღებას.**

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში გაიმართა სამუშაო სემინარები და ინდივიდუალური კონსულტაციები კორპორაციული მართვის საკითხების იურიდიულ და ფინანსურ ასპექტებთან დაკავშირებით, ხოლო შერჩეული ბანკებისა და კომპანიებისთვის შესრულდა საგანგებო პილოტური პროგრამა. **მისი განხორციელებით ოცდაერთ ბანკსა და კომპანიაში უამრავი (დაახლოებით ორმოცდაათი) პროცედურა საგრძნობლად გამარტივდა და გაუმჯობესდა, ხოლო კორპორაციული მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებას ყველა მათგანში საქმიანობის ეფექტიანობის საგრძნობლად ამაღლება მოყვა.**

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ ამ ცოტა ხნის წინათ კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოც დასტამბა, რომელშიც საქართველოს კორპორაციული მართვის შესაბამისი კანონმდებლობის ასპექტები დეტალურადაა განხილული. ცხადია, ეს ნაშრომი, შემდგომ, უკვე პროექტის დასრულების მერე, მნიშვნელოვნად დაეხმარება საქართველოს კომპანიებსა და კომბანკებს მართვის სტანდარტების ამაღლებასა და პრაქტიკული მუშაობის დახვეწაში.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ განხორციელებული პროექტის მნიშვნელობა ის არის, რომ კორპორაციული მართვის სრულყოფილი სისტემა ინვესტიციების უფრო ადვილად მოზიდვის ერთ-ერთი გადამწყვეტი წინა პირობაა.

უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ საქართველოში სადღეისოდ განხორციელებულ 35 პროექტში დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარის ინვესტიციები დააბანდა. 2006 წლიდან 2011 წლის იანვრამდე პერიოდში, კორპორაციული მართვის პროექტს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია „ბრიტიშ პეტროლეუმსა“ (BPძ და მის ნავთობისა და გაზის სფეროში პარტნიორებთან, ასევე კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (CIDAძ თანამშრომლობით ახორციელებდა. ამასთან, საკონსულტაციო პროგრამის ფარგლებში, **საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის სპეციალისტები ასევე მუშაობენ საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმების საკითხებზე და ეს საქმიანობა, როგორც აცხადებენ, პირველ ყოვლისა, მცირე ბიზნესის ხელშეწყობაზეა ორიენტირებული.**

აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საკონსულტაციო პროექტი კომპანიებს სურსათის უვნებლობის ამაღლების საქმეშიც დაეხმარება, რაც საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალური და მტკივნეული საკითხია.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ინფორმაცია თემაში**

**მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია განვითარებაზე ორიენტირებული ყველაზე დიდი საერთაშორისო ინსტიტუტია, რომელიც მხარს უჭერს განვითარებადი ქვეყნების კერძო სექტორს. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ამ ქვეყნების მოსახლეობას სიღარიბის დაძლევასა და ცხოვრების დონის ამაღლებაში უწყობს ხელს, კერძო საწარმოებს კი, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად და საზოგადოებისთვის საჭირო მომსახურების მისაწოდებლად დაფინანსებით უზრუნველყოფს. გარდა ამისა, სხვა ორგანიზაციებიდან კაპიტალის მობილიზებით და სათანადო საკონსულტაციო მომსახურებით საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ეკონომიკის მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს ამრავალფეროვნებს. კორპორაციის მიერ შარშან ინვესტირებულმა თანხამ, მთლიანად, 18 მილიარდი დოლარი შეადგინა.**

პენსია

# რომელ ქვეყანაში რამდენს იღებენ?

**ალბათ, ბევრს აინტერესებს, რომელ ქვეყანაში რა რაოდენობით პენსიას იღებენ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის — საჯარო სამსახურის ბიუროს მონაცემებით, საქართველოში, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, პენსიის მაქსიმალური ოდენობა 90 ლარია, რაც საარსებო მინიმუმის (149,6 ლარი) ნახევარზე ოდნავ მეტია.**

**როგორი ვითარებაა ამ მხრივ სხვა ქვეყნებში? პენსიების ოდენობა ქვეყნების მიხედვით ასეთია: უკრაინა — 210 ლარის ეკვივალენტი, რუსეთი — 530 ლარის ეკვივალენტი, ბელორუსი — 200 დოლარი, სომხეთი — 120 ლარის ეკვივალენტი, აზერბაიჯანი — 190 ლარის ეკვივალენტი, ლიტვა — 220 ევრო, ლატვია — 304 ევრო, ჩეხეთი — 409 ევრო, სლოვენია — 350 ევრო, ბულგარეთი — 125 ევრო, რუმინეთი — 175 ევრო და ა. შ.**

**სომხეთში მაგალითად, სადაც მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე ჩვენთან შედარებით ნაკლებია, მინიმალური პენსია 120 ლარის შესაბამის დრამს შეადგენს. მართალია, პენსიების გაზრდა შესაბამის რესურსს მოითხოვს და გარკვეულწილად ინფლაციის მასტიმულირებელია, მაგრამ როცა ჩინოვნიკთა ანაზღაურება პენსიას 100-ჯერ აღემატება (ასეა საქართველოში), სოციალურად და მორალურად ეს ყოვლად გაუმართლებელია.**

ინფორმაცია

**აფხაზეთში რუსეთში გადახვეწილთა მრავალბინიან კორპუსს ააგებენ**

**აფხაზეთში მაცხოვრებელი რუსეთის მოქალაქეების ქონებრივი უფლებების აღდგენის შესახებ შესაბამის კომისიაში უკვე 200-მდე განცხადებაა შესული. მათგან 118 წარმოებაშია მიღებული, განაცხადა აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა სოხუმში გამართულ პრესკონფერენციაზე**

**— კომისიაში შესულია 200-მდე განცხადება, მათგან წარმოებაში მიღებულია 118. 44-ზე უკვე გადაწყვეტილება გამოტანილია. 6 განცხადება სამართლიანადაა მიჩნეული. 16 საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაგზავნილია პროკურატურასა და სასამართლოში. ყველა დანარჩენ განცხადებას განხილვაზე უარი ეთქვა, —განაცხადა სერგეი ბაღაფშმა და აღნიშნა, რომ შესაძლოა, უახლოეს მომავალში სოხუმში საცხოვრებელი მრავალბინიანი სახლი აშენდეს, რომლის აგებასაც დაახლოებით 200 მილიონი რუბლი სჭირდება. ეს სახლი იმ ადამიანებისათვის იქნება განკუთვნილი, რომლებსაც აფხაზეთში საცხოვრებელი უნდა დაუბრუნდეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

გლობუსი

# შენ გაიხარე ჩვენი მორიგი „გახარებისთვის!..“

## პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის გამო

**პარლამენტისა და ქვეყნის წინაშე პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლა, რომ მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს, ამაში ახალი არაფერია. ასე იყო ბოლო გამოსვლის შემდეგ, რამაც ნთლად დაგვანახა, რომ 6 წლის განმავლობაში პრეზიდენტი არ შეცვლილა, რომ მასზე არ უმოქმედია არაბული სამყაროს სახალხო აჯანყებებს, გამოწვეულს ისეთივე პრობლემებიდან, როგორც საქართველოში. სააკაშვილი არ შეცვლილა და ალბათ არც შეიცვლება. როდესაც ასეთად არის დაბადებული — შეცვლა შეუძლებელია.**

მასზე დადებითად ვერ მოქმედებს გარემო, მით უმეტეს, ისიც დაავადებულია. გამოკვეზერელებული გარემოდან სისულელის გარდა სხვას რას უნდა ელოდეს დამშეული საქართველო? მაგრამ ის, რომ კვეზერელი მარტო არ არის, მეექვსედ დაგვარწმუნა პარლამენტის დარბაზში შეკრებილმა უმრავლესობამ და ე. წ. ოპოზიციამ თორთლაძის სახით. ყველა ისინი კვეზერელები არიან — სულით, გულით, გაუნათლებლობით, თავხედობით, გამოშტერებით, ოღონდ სხვა გვარებს ატარებენ, მაგალითად გაბაშვილს, წიკლაურს, ბაქრაძეს, ცისკარიშვილს, სხვებს, ყველაზე გამოკვეზერელებული თვით პრეზიდენტია. „იმდენად იზრდება მოსავალი და შემოსავალი, რომ ცოტა რთულია ამის დაჯერება“, — ამბობს ე. წ. სოფლის მეურნეობის ე. წ. მინისტრი. თემა — სიმინდის მოსავლის გასამმაგება. ადგილი — პრეზიდენტის სასახლე. ღონისძიება — ვიწრო წრეში ჩატარებული თათბირი ქვეყნის მარცვლეულით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. კვეზერელ-სააკაშვილის ტანდემის მიხედვით მალე იმდენი სიმინდი გვექნება, საქართველოსაც ეყოფა და საექსპორტოდაც გავა. ამ ტანდემის „უზადო“ აზროვნების აჩრდილი პერმანენტულად დასტრიალებს ბედკრულ საქართველოს. **სიკეთე განსაკუთრებით იგრძნო საქართველომ სააკაშვილის საანგარიშო მოხსენებიდან, მისი გუნდის წევრების გამოსვლებიდან. გამოსვლებს ვამბობ თორემ გამოსვლა ნაკლებად შეიძლება ეწოდოს უმრავლესობის პასუხებს ოპოზიციონერთა გამოსვლებზე. „შენ თვითონ ხარ დრუნჩიანის“ პრინციპზე აგებული „დიალოგი“ შოუს უფრო ჰგავდა, ვიდრე მძიმე განსაცდელში მყოფი ქვეყნის გადამრჩენ მამათა ძალისხმევას. მამა-მარჩენალის პასუხებმა ნათელჰყვეს, რომ საქართველოში განხორციელებული მანკიერი პროექტების ავტორი მხოლოდ ის არის და არა სხვა. პროექტებით იმდენად მოხიბლულია ავტორი, რომ ბედშავი ჯორჯია მათგან თავს ვერ დაიძვრენს. „შეაყარე კედელს ცერცვის“ ნაირსახეობასთან გვაქვს საქმე. ერთადერთი გზა გადარჩენისა — ტუნის-ეგვიპტეიზაციაა, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდხანს მოგვიწევს შედევრული პროექტებით ტკბობა. არადა ვითარება სავალალოა.**

პოლიტიკურ-ეკონომიკურ-დემოგრაფიული თვალსაზრისით საქართველო 37-ე ადგილზეა მსოფლიოში. განსაკუთრებით შემაშფოთებელია დემოგრაფიული მონაცემები. და რაც არ უნდა თავი იმშვიდონ ხელისუფლებამ და ქართველებმა, გრძელვადიანი, გონივრული გეგმის გარეშე ვითარება ვერ გამოსწორდება. დემოგრაფიული თვალსაზრისით არც კომუნისტების დროს ყოფილა სახარბიელო მდგომარეობა, მაგრამ დღევანდელთან რა შედარებაა. მაშინ ქვეყნის მრავალშვილიან დედათათვის სხვადასხვა სახის დახმარება იყო. მრავალშვილიანი დედა დაფასებული იყო. მძიმე ვითარებაა ეკონომიკაში. საზოგადოება კარგა ხანია მიეჩვია იმას, რომ ქვეყანაში არც ერთი სერიოზული საწარმო არ მუშაობს. დავიწყებას მიეცა საბჭოთა პერიოდის გიგანტები — რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, კიროვის ჩარხმშენი, ქუთაისის ავტომშენი ქარხნები, სხვები და სხვები. ქარხანა-ფაბრიკების არარსებობა უმუშევრობის გარანტიაა. ოფიციალური მონაცემებით უმუშევრობა 17 პროცენტს შეადგენს, რეალურით — მოსახლეობის ნახევარზე მეტი დაუსაქმებელია. ქვეყანა გადაიქცა დოვლათის არშემქმნელ მჭამელ კონტროლიორთა სავანედ. მაღალანაზღაურებიანი კონტროლიორები ჩვენი ცხოვრების ხორცმეტ თანამგზავრებად არიან ქცეულნი. საქალაქო ტრანსპორზე კონტროლი — მონიტორინგის სახით, სკოლაში კონტროლი — მანდატურის სახით, ქუჩაში საკუთარ ავტოტრანსპორტზე კონტროლი — სიტი პარკის სახით, დავუმატოთ ამას ტრადიციული მაკონტროლებელი ორგანოები, ჯარი და მივიღებთ მუქთამჭამელთა სარეკორდო მაჩვენებელს. ცნობისათვის — ტრანსპორტში მგზავრთა კონტროლის მუშაკის თვიური ხელფასი — 800 ლარია. ასეთ ვითარებაში ქვეყანა ვერაფერს დაამზადებს, ვერც საკუთარი მოხმარებისათვის, ვერც საექსპორტოდ გასატანად. ავადსახსენებელ საბჭოთა პერიოდში 70-ზე მეტი სხვადასხვა დასახელების საქონელს აგზავნიდა საქართველო როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ ქვეყნებში, საბჭოთა რესპუბლიკებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. დღეს სანუკვარი ოცნებაა დსთ-ს ქვეყნებში რალაცის გაყიდვა, თუმცა გასაყიდიც ხომ არაფერია, გარდა ჯართისა, უცხოეთიდან შემოტანილი ავტომანქანებისა, თითო-ოროლა ბოთლი ღვინისა. აი, რაც შეეხება იმპორტს — ჩემპიონები ვართ. შემოგვაქვს ხახვი, ნიორი, სტაფილო... ყველაფერი, რაც დაკავშირებულია კვებასთან, სხეულის დაფარვასთან, და სხვა. **„ამგვარი უარყოფითი სალდო აფრიკის სუსტად განვითარებული სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებიც გარედან დახმარების წყალობით ახერხებენ არსებობას. ქვეყანა შესანიშნავი რეიტინგების გარდა არაფერს აწარმოებს“ — წერს რუსი ანალიტიკოსი ანდრეი ეპიფანცევი.** სტატიაში მოყვანილი მაგალითები ჩვენთვის სულაც არ არის ახალი. აი, რაც შეეხება რუსეთს, ახალი და მოულოდნელი უნდა იყოს, განსაკუთრებით ე. წ. ლიბერალებისათვის, რომლებიც სააკაშვილის ქებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. ნოვოდვორსკაია, ილარიონოვი, ნემცოვი, ლატინინა, სხვები, სააკაშვილის მიერ დაპურებულები საქებარ სიტყვებს არ იშურებენ ე. წ. დასავლური გზით მოსიარულე რეფორმატორი სააკაშვილისთვის. მათი მოსაზრება, ისეთივეა, როგორიც



რესპუბლიკელი სენატორის მაკკეინის, რომელიც მუდამ მოუწოდებს „კაგებეშნიკურ“ რუსეთს ქვეყნის შენების მაგალითები სააკაშვილისგან აიღოს. კარგი დღეც დაადგება.

სააკაშვილის შემოქმედება ტყუილს და თვითრეკლამას ეფუძნება. ამ საქმისათვის დიდძალი თანხები იხარჯება. „საქართველო მსოფლიოს ნომერ პირველი კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი“, ამ სათაურით ჟურნალ „ეკონომისტის“ შიდა ყდაზე დაბეჭდილ რეკლამაში ვკითხულობთ, რომ ტრანსპერანს ინტერნეშნლის მსოფლიო ბარომეტრის მიხედვით 2010 წელს ქართველთა 78 პროცენტი თვლის, რომ კორუფცია ამ ბოლო 3 წლის განმავლობაში დაიწია, რაც 86 ქვეყნის მაჩვენებელთა შორის საუკეთესოა, 77 პროცენტ ქართველს მიაჩნია, რომ კორუფციის დამარცხებაში საქართველოს ხელისუფლებას ლომის წილი მიუძღვის, რომ ამ მაჩვენებლით საქართველო ევროკავშირის ქვეყნებსაც ჯობნის და ა. შ. და „თუ გინდათ ქართული საოცრების ხილვა, ეწვიეთ საქართველოს“. ეს რეკლამა რით ჩამოუვარდება კვეზერელის მოსაზრებას? **ამ რეკლამის მხილველს, საქმეში ჩახედულ პირს უდავოდ გაუჩნდება ეჭვი რესპექტაბელური ინგლისური ჟურნალისადმი და ცხადია კითხვაც — შენც „ეკონომისტო“? როგორც ჩანს ფული და თანაც დიდი — „ეკონომისტსაც“ ხიბლავს. გადაიხადე და დაბეჭდე ბლეფი. სააკაშვილმაც გადაიხადა და დააბეჭდინა. შემდეგ მთელს მსოფლიოს მოსდო წარმატებული, არაკორუმპირებული „მიშლენდის“ შესახებ, ბოლო — მიუნჰენი იყო. უფრო ბოლო — პარლამენტი. მოდით და ენდეთ ამის შემდეგ უცხოურ გამოცემებს, ტელეკომპანიებს, ამერიკელ სენატორებს, მათ შორის მაკკეინს, სხვებს, განსაკუთრებით აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენს. — მადლობას რომ უხდის სააკაშვილის მშობლებს ასეთის გაჩენა-აღზრდისათვის. როგორც ჩანს, ორალური რეკლამაც ისეთივე პრინციპებს ეფუძნება, როგორიც ბეჭდვითი — გადაიხდი და რას არ ათქმევინებ „შეუვალ“ ამერიკელ პოლიტიკოსებს**, 30 წელი რომ ხოტბას ასხამდნენ ეგვიპტის მუბარაქს. მისი ქებით ენა ჰქონდათ გადატყავებული, მაგრამ, როდესაც ხალხმა აითვალისწუნა, ისიც (აშშ იძულებული იყო დაჰყოლოდა ხალხის სურვილს. მუბარაქი წავიდა და თან 60 მილიარდი დოლარი გაიყოლა. საინტერესოა, რამდენს გაიყოლებს კორუფციის რისხვა მიხეილი? თუ ხალხი იძალებს, არც ვაშინგტონი გაჯიქდება, ვინაიდან დღეს სხვა დროა — 2008 წლიდან განსხვავებული, მაგრამ **ხალხი დუმს, მონუსხულივით შეჰყურებს აკოს, გოკას, მიშიკოს, დათიკოს, ნანიკოს, იკოს, სხვა ტრაკიკოს, მეძავეებსა და ცისფრებს, ქართული ბედნიერების ტელეშოუებში უხვად წარმოდგენილებს.**

ქართულრეკლამაგაცნობილი ტურისტი, რომ შეცდება და ეწვევა საქართველოს დარწმუნებული ვარ პირს აღარასოდეს იზამს აქეთ, ვინაიდან ტყუილით გაჟღენთილ რეკლამას მოკლე ფეხები აქვს. 10 მილიონი ტურისტის მისაღებად განახევრებული, პროფესიონალებისგან დაცლილი საქართველო არ ეყოფა. არც თურქული პესტიციდებიანი კვების პროდუქტები და დაგლეჯილი გზები საკმარისი ამ საქმისთვის. არარსებული ინფრასტრუქტურა ტურიზმის განვითარების პირველი ლახვარია, ისევე, როგორც არაპროფესიონალიზმი და არაკომპეტენტურობა. ქვეყანას, რომელსაც არაპროფესიონალი მიმტანები, მეტრდოტელები, დამლაგებლები, მეეზოვეები, ხელოსნები, კულინარები, ექიმები, პარლამენტარები, მინისტრები და რაც მთავარია პრეზიდენტი ჰყავს, ტურიზმს ვერ განავითარებს. ტურიზმის განვითარებით არასდროს უბაქიბუქია ჩვენზე არცთუ დიდ ავსტრიას, მაგრამ ამ დარგით მას აქვს საამაყო, ისევე, როგორც სხვა განვითარებული დარგებით და, რაც მთავარია, ინფრასტრუქტურით. რით მიაღწია ყოველივე ამას ავსტრიამ? უპირველეს ყოვლისა, სიმართლით და არა ტყუილით, შრომით და არა მეტიჩრული ყოყოჩით და, რაც მთავარია, გამჭვირვალე, სამართლიანი არჩევნებით — ყველა დონეზე — ორპალატიანი პარლამენტით დაწყებული, „მიწის“ პარლამენტებითა და მუნიციპალური საბჭოებით დამთავრებული. ყველა ეს არჩევნები საზოგადოების ფართო კონტროლს ექვემდებარება. ფინანსური თვალსაზრისით კონტროლდება ხელფასების და საზოგადო ორგანიზაციების ყველა რგოლი. პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს ხალხს და არა ისე, როგორც ეს ხდება ჩვენში. იქ ყველამ იცის რაში იხარჯება ბიუჯეტი. ჩვენში იცის მხოლოდ სააკაშვილმა. ავსტრიის პოლიტკულტურის ქვაკუთხედია მმართველი კადრების მომზადება ქვეყნის და საზოგადოების მართვისათვის. აქაც უმთავრესია ცოდნა, პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა. ავსტრიაში ადგილი არა აქვს რომელიმე პარტიის გამარჯვების შემდეგ სახელმწიფო ორგანოების ხელახალ დაკომპლექტებას საკუთარი კადრებით. და თუ ცვლა იშვიათად ხდება, მხედველობაში მიიღება პროფესიონალიზმი და არა პარტიის წევრობა ან ნათესაობა. საქართველო ასი თავით ჩამოუვარდება ავსტრიას, ისე, როგორც ევროკავშირის სხვა წევრებს. ავსტრიას არასდროს გამოუქვეყნებია ისეთი რეკლამა, რომელიც შორსაა სინამდვილისგან. ავსტრიაშიც ისე, როგორც სხვაგან ებრძვიან კორუფციას, **მაგრამ ებრძვიან და არ ყვირიან, ისე, როგორც საქართველოში. „არაკორუმპირებულ“ საქართველოს ახსოვს ოქრუაშვილის მიერ 200 ათასი დოლარის აღებისთვის სააკაშვილის ბიძის დაკავება და სააკაშვილის ბრძანებით უმალ გათავისუფლება. ქართულმა საზოგადოებამ იცის სააკაშვილის ძმების ბენზინისადმი მიდრეკილების ამბავი, საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად ხარჯვის ისტორია. ისიც იცის თუ როგორ ინიშნავენ სააკაშვილის გუნდელები თვიურად 15.000-იან ხელფასებს და ათჯერ მეტ პრემიებს. იცის და დუმს, რას მოგვიტანს დუმილი?**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ინფორმაცია

### სიღნაღიზაცია მესტიურად

**დაბა მესტიის ცენტრის რეაბილიტაციის პროექტის პირველი ეტაპის სამუშაოების, მესტიამ გასულ წელს 3 მლნ. ლარი უკვე მიიღო.**

**გარდა ამისა მესტია მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 330 ათას ლარს მიიღებს. აღნიშნული თანხით მთავრობა შპს „მესტია რიზორტსის“ კაპიტალს შეავსებს, რომელიც ფულს მესტიაში საბაგირო გზისა და სათხილამურო ტრასების ექსპლოატაციისთვის დახარჯავს. პროექტის ფარგლებში თხილამურების შესანახად კოტეჯი აშენდება, გამქირავებელი პუნქტი და გასახდელები მოეწყობა, იმავდროულად მოხდება თხილამურებისა და მისი აქსესუარების შეძენა.**

**დაგეგმილია ასევე საბაგირო გზისა და თოვლსატკეპნი მანქანებისათვის საწვავ-საპოხი მასალების შეძენა, მაშველებისა და თოვლსატკეპნი მანქანების მძღოლების გადამზადება და სხვა.**

### ქართველი მძარცველები – ესპანეთში

**ესპანური მედიის ინფორმაციით, სულ საქართველოს 15 მოქალაქეა აყვანილი.**

**სპეცოპერაცია ქვეყნის ორ ქალაქში ჩატარდა. გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულები ძარცვის 13 შემთხვევასთან არიან კავშირში.**

**საქართველოს მოქალაქეების გარდა, ესპანელმა სამართალდამცველებმა ის პირებიც აიყვანეს, რომლებმაც ნაქურდალი ნივთები შეიძინეს. მათგან ერთი უკრაინის მოქალაქეა.**

**ეჭვმიტანილების ბინების ჩხრეკისას ელექტრომოწყობილობა იქნა აღმოჩენილი, რომლითაც ისინი ბინებს ტეხდნენ. ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღებიც.**

**დაკავებული ქართველების ვინაობა არ სახელდება.**

### ქურდის ქურდი ცხონებულია?!

**ეგვიპტის მუზეუმიდან და კულტურის სხვა ცენტრებიდან მსოფლიო რელიქვიების მოპარვის გამო იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ირინა ბოკოვამ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრეებსა და კოლექციონერებს გაძლიერებული სიფხიზლისკენ მოუწოდა.**

**— იმპრორირებული თუ ექსპორტირებული, გასაყიდად გამზადებული ხელოვნების ნიმუშები განსაკუთრებით ინტერნეტში უნდა შეისწავლონ გულდასმით. გამქრალი ექსპონატები კაცობრიობის ისტორიული მემკვიდრეობისა და ეგვიპტის თვითმყოფადი კულტურის ნაწილია. დაუშვებელია, ისინი უპატიოსნო ხალხის ხელში აღმოჩნდეს, დაზიანდეს ან განადგურდეს, — აღნიშნა ირინა ბოკოვამ.**

**ბოკოვას თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით იუნესკო მჭიდროდ ითანამშრომლებს საერთაშორისო პარტნიორებსა და ინტერპოლთან.**

ჯი-ეიჩ-ენი

ვარდისფერი ფერისცვალება

**თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე პირადად ხშირად მიფიქრია იმ რეალობაზე, რომელიც ვარდისფერმა რევოლუციამ ჩვენ ყველას მოულოდნელად შემოგვაჩეჩა. მან, როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, იმდენად გადააქოთა ჩვენს ცნობიერებაში ადრე დამკვიდრებული ყოფითი, კულტურული თუ ზნეობრივი ღირებულებანი, რომ თუ სიღრმისეულად არ ჩაუკვირდები, შენს გვერდით ათეულწლობით ნავალ ადამიანებს ვეღარც კი იცნობ. მით უმეტეს თუ იმათგან, ვისთანაც ადრე მეგობრობდი, ზოგი ვინმე, ნინოდ რომ იცნობდი, დღეს ნინჩოდ მოგევლინა, ქეთევანი – ქეთუსიად, გიორგი – გოკად, მარიამი – მანჩოდ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.**

# მიშიკო ჩემი პრეზიდენტია!

ყოველივე ამან ზოგი ჩემი თანამოკალმე იმდენად გაანაწყენა, რომ ნინჩო-ნანჩოებს, ნატუკა-ნატუკოებს, ნანუკა-ნანიკოებს და მათ მაგვარებს პრესის ფურცლდებიდან ხმამაღლა შეუძახა: რას შვრებით, ხალხო, რატომ იმახინჯებთ გვარსახელებს, საკუთარი საქციელისა თუ არა გრცხვენიათ, დაბლა, მიწაზე ქართულ ტრადიციებს მაინც ეცით პატივი და მაღლა – მამაზეციერსო.

კი შეუძახა, მაგრამ შეურხია კი ვინმეს გულის სიმები? შენც არ მომიკვდე, მეტი საქმე არა აქვთ მოდას აყოლილ „ახალ ქართველებს" ამ ძველმოდური „გრუზინის" დაკრულზე იცეკვონ. თუ ვინმეს სადავო აქვს და ძალა შესწევს ძალილისა, ექიდაოს, ჩემო ბატონო, ნანუკას და ნანიკოს მაღალრეიტინგულ ტელეშოუებს, რომელთა გადაცემებში გამართულ ქართულ სახელებს რეიტინგი საერთოდ დაეკარგათ.

ამის მიუხედავად, ეს ჩვენი „გოიმი გრუზინი" მაინც თავისაზეა, ნუთუ შეიძლება, – კითხულობს ის აღშფოთებით, მინისტრს, რომელსაც გიორგი ჰქვია, გოკათი მიმართო, ან პარლამენტარ პავლეს – პალიკოთი? აბა რას ჰგავს, ამხელა კაცს (კუზანოვსძ ივას რომ ეძახიან? მომღერალი კახა ცისკარიძე რატომ არის სხვისთვის კახუჩელა ან მსახიობი ნატო გულისაშვილი – ნატუკა?

კიდევ კარგი ნატუკა მსახიობს ნატუკელა რომ არ შეარქვეს და პარლამენტარ პალიკოს კიდევ – პავლუშა, თორემ მაშინ ნახავდით, რა ხასიათზე დადგებოდა ეს ჩვენი ქართული ადათ-წესების დამცველი კორესპონდენტი! ისე, კაცმა რომ თქვას, თავად პალიკო (იგივე პავლუშაძ ხომ უნდა ფიქრობდეს საკუთარი სახელის ღირსებასა და კეთილხმოვანებაზე? ამხელა, თითქმის ღმერთისტოლა კაცს, რომელსაც სახელს უმახინჯებენ, ნერვი ოდნავ მაინც ხომ უნდა შეუტოკდეს?

ისე, ჩვენ ვფიქრობთ ასე, გარედან მაცქერალნი, თორემ იქნებ თავად გოკასა და პალიკოს, ნანკასაც (კალატოზიშვილსძ, მოსწონთ კიდეც საკუთარი სახელების ასეთი გაპრანჭულობა? არ გაგიკვირდეთ, რომ მოსწონდეთ, თორემ წარამარა ამდენი გოკა-გოკას, პალიკო-პალიკოსა და ნანკა-ნანკას ძახილით ერთხელ ხომ მაინც უნდა განაწყენებულიყვნენ ეს ჩვენი პატივცემული მსახიობი და პარლამენტარები? ჰოდა რახან გაიყურსნენ, ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ საზოგადოების მხრიდან ასეთი ყურადღებით

**თუ მივეფერებით, იქნებ „ნატუკელამ" შიგნითაც შეგვიშვას?**



ნაწყენი კი არა, პირიქით, ნასიამოვნებიც არიან?

რატომაც არა, ჩვენი ნაცმოძრაობის ამჟამინდელ ლიდერებს ასეთი განწყობისთვის არც თუ უსაფუძვლო მიზეზი აქვთ. ყველამ მშვენივრად უწყის, რომ მათი და მხოლოდ მათი წყალობით დააღწია თავი საქართველომ შუასაუკუნეობრივ ჩამორჩენილობას. მათივე წყალობით სულ რაღაც ორიოდე წელიწადში იქცა ის აყვავებული ეკონომიკისა და დემოკრატიის შუქურა სახელმწიფოდ, არნახული რეფორმების გამტარებელ თითით საჩვენებელ ქვეყნად მთელ მსოფლიოში. და სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს თუ ამ ნეტარცხებულ ქვეყანაში, სადაც ცხოვრება დუღს და გადმოდუღს, ადამიანები არა მარტო ერთმანეთს, თავად დიდ სახელმწიფო მოღვაწეებსა და ხელოვანებსაც კი ეფერებიან და მათ შინაურულ, ოჯახურ გარემოში შერქმეულ სასიყვარულო სახელებით მიმართავენ. აბა შეხედეთ მეზობელ რუსეთში, სადაც დღესაც კი ტოტალიტარიზმი და უკიდურესი ჩამორჩენილობა გაბატონებულა, თუ ვინმეს მოუვა აზრად, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ პუტინს მოესიყვარულოს – აბა გვითხარი, როგორა გრძნობ თავს ჩვენო სწორუპოვარო კაგებეჩნიკო ლადუნა ბიჭოო.

რუსეთისაგან განსხვავებით, ნახეთ რა სიტუაციაა ამ მხრივ საქართველოში. იშვიათია, ძალზე იშვიათი, ჩვენში პრეზიდენტი სააკაშვილი ვინმე მიხეილად მოიხსენიოს. ყველგან ერთი და იგივეს გაიგონებთ – მიშა მაგარიაო, მიშამ რუსეთი დამარცხაო, მიშამ ოპოზიციას მოუჯოკრაო, მიშამ კრიზისს დედა უტირაო, მიშამ დედაქალაქი თბილისიდან ქუთაისის გზას გაუყენაო... ერთი სიტყვით, სულ მიშა და მიშაო!

ერთი ჩემი კოლეგა მიშასადმი სიყვარულმა იმდენად დაატყვევა, პრეზიდენტის დასაკუთრებაც კი მოიწადინა. ჩემმა პრეზიდენტმაო, დაწერა მან გაზეთში, კაჭრეთში სტუმრობისას განაცხადა: „იაფი ფასების ეპოქა წარსულს ჩაბარდაო" და იქვე, ისე რომ ბევრი არ უფიქრია, ინფლაციის წამალიც გამოიგონაო – 20-ლარიანი ვაუჩერი, რომელსაც საქართველოს მოსახლეობას ზამთრის გადაგორება რომ არ გაუჭირდეს, უკვე ურიგებენო.

ჩემმა პრეზიდენტმაო! ხედავთ, ხალხო, როგორი სიწრფელითა და სიყვარულით არის ნათქვამი ეს სიტყვები? რატომაც არა, თუკი პრეზიდენტი ამას საქმით იმსახურებს? ეს პირველი შემთხვევა რომ იყოს, შეიძლება ხმაც არ ამომეღო, მაგრამ აბა გაიხსენეთ, რამდენჯერ ჩამოურიგა საჩუქრები ჩემმა, შენმა, ყველას პრეზიდენტმა ხალხს, როცა კი შეატყო, რომ მას რაიმე უჭირდა. ღვთის წყალობით (თუ ხელისუფლების წყალობითძ ასეთი გასაჭირი არ დაილია და ჩვენი მიშაც უხვად არიგებს (განსაკუთრებით არჩევნების წინძ ელენერგიისა თუ შეშის ვაუჩერებს, ფქვილის ტომრებსა თუ საწვავით სავსე „კანისტრებს".

ჰოდა სულაც არ გამიკვირდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს მადლიერი ქართველი ხალხი თავის მერცხალა პრეზიდენტს ამაგს არ დაუკარგავს, მომეტებული პატივმიგების ნიშნად უფრო მეტად მიეალერსება და მას მიშიკოს ან სულაც მიშიკუნას შეარქმევს. ეგ კი არა, ხანდახან იმასაც ვფიქრობ ხოლმე, ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის, ნატუკა ან ნატუკელა ხომ არ შეგვერქმია? ის ამდენი ხანია გვეუბნება, ჩემი კარი თქვენთვის ღიააო და თუ მოვეფერებით, იქნებ ნატუკელამ ამდენი ლოდინის შემდეგ თავისთან, ჩვენ ყველა ერთად თუ არა, მიშიკუნა მაინც შეუშვას?!

**ოთარ ხუციშვილი**

შავი სტატისტიკა



# ევროპაში მეორე, მსოფლიოში მეექვსე

**ლონდონის სამეფო კოლეჯი პერიოდულად აქვეყნებს მსოფლიოს 217 ქვეყნიდან შესულ ინფორმაციებს პატიმართა რაოდენობის შესახებ. სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე მეტი ტუსაღი რუსეთსა და ბელარუსის ჰყავთ. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მათ მიჰყვნენ საქართველო და აზერბაიჯანი. ყველაზე ნაკლები მსჯავრდებულია ესტონეთში.**

მსოფლიო მაჩვენებლებით რუსეთი პირველობს. შემდეგ მოდიან აშშ და ჩინეთი. ამხელა გიგანტების შემდეგ 3-მილიონიანი საქართველო ჩამონათვალში მე-12 ადგილს იკავებს.

სამეფო კოლეჯში მიაჩნიათ, რომ ჭარბი მოსახლეობის მყოლ სახელმწიფოებში ცხადია, რომ პატიმართა რაოდენობა მეტი იქნება, ვიდრე, ვთქვათ, საქართველოსა და ესტონეთში. ამის გამო ათვლები დაიწყეს 100 ათას მოსახლეზე ტუსაღთა რაოდენობით. ევროპული მაჩვენებლებით რუსეთი აქაც გვჯობნის. საქართველო მეორეა – ასი ათას მოსახლეზე 537 ტუსაღი.

მსოფლიო მაჩვენებლებით კვლავ რუსეთი ლიდერობს. მას მოჰყვებიან აშშ და ჩინეთი. საქართველო მეექვსეა. აღსანიშნავია, რომ განვითარებული ევროპული სახელმწიფოებისთვის 100 ათას სულ მოსახლეზე მსჯავრდებულთა რაოდენობის დასაშვები ზღვარი 70-80 მსჯავრდებულია, მსოფლიოში – 141;

კოლეჯს არ ჩაუტარებია შემოსულ ინფორმაციათა ანალიზი. ის, თუ როგორ პირობებში ცხოვრობენ ტუსაღები, როგორ არის მოგვარებული მათი საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, კვების, ჰიგიენის პირობები, მკვლევარების ყურადღების მიღმა დარჩა. ყველა ამ პრობლემის მოუგვარებლობის გამო, ციხე-კოლონიებში განუკითხაობისა და გადავსებულობის მიზეზებიდან გამომდინარე, „დაუმორჩილებლობის მოძრაობა" ფართო ამნისტიის გამოცხადების ინიციატივით გამოდის.

მოძრაობის ლიდერი დავით თარხან-მოურავი აცხადებს, რომ იურისტებთან ერთად მზადდება კანონპროექტი ფართო ამნისტიის შესახებ, რომლის მიხედვითაც უნდა გათავისუფლდეს ყველა ის ადამიანი, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის იხდის სასჯელს. ამასთან ამნისტიის კანონის მიღების შემთხვევაში 30 ათასზე მეტ პრობაციონერს ავტომატურად მოეხსნება სასჯელი.

„წინააღმდეგობის მოძრაობის" ლიდერთა განმარტებით, საერთაშორისო სტანდარტებით საქართველოს არ უნდა ჰ ყავდეს 5 ათას პატიმარზე მეტი. რეალურად კი 3-მილიონიან ქვეყანაში 10 პროცენტი მსჯავრდებულია.

ამნისტიის კანონპროექტზე მომუშავე იურისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი ლალი აფციაური აცხადებს, რომ „ეს ერის პრესტიჟია. არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა, რომ მოსახლეობის 10 პროცენტი მსაჯავრდებული ყოფილიყო".

აფციაური აცხადებს: კანონპროექტი გაითვალისწინებს მთელ რიგ დანაშაულებზე (მსუბუქი, ნაკლებად მძიმეძ ფულადი ჯარიმების დაწესებას. მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარებაზე.

„წინააღმდეგობის" ლიდერები აცხადებენ, რომ დოკუმენტზე მუშაობის დამთავრების შემდეგ მალე დაიწყება ხელმოწერების შეგროვება იმისათვის, რომ პარლამენტმა კანონპროექტი მიიღოს, განიხილოს და ამნისტიის შესახებ კანონი მიიღოს.

**ზაზა ბილიხოძე**

კონფლიქტის ზონა

# გალის რაიონში აფხაზური პასპორტების ბუმია!

**რამდენიმე წლის წინათ აფხაზურ პასპორტებზე ქართველთა მოთხოვნა ძალზე ცოტა იყო. პირიქით, აძალებდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს აფხაზური პასპორტების აღებას. ამჟამად კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა. მას შემდეგ, რაც პირველი თებერვლიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე წითელი, სსრკ-ს სიმბოლიკიანი პასპორტების მოქმედება გაუქმდა, რომლითაც ძირითადად სარგებლობდნენ გალსა და ზუგდიდს შორის მოძრავი ადამიანები, აფხაზურ პასპორტებზე მოთხოვნა ერთმნიშვნელოვნად გაიზარდა. გალის საპასპორტო განყოფილებასთან დიდი რიგები დგას. აფხაზური პასპორტების მსურველთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება, რამაც თვით აფხაზი ჩინოვნიკებიც კი გააოცა: „ასე რამ გადაგრიათ ქართველები, რომ ყველანი აფხაზურ პასპორტებს ითხოვთ!" – განაცხადა ერთ-ერთმა აფხაზმა მოხელემ. ყველა მსურველის დაკმაყოფილება ერთბაშად შეუძლებელია. საპასპორტო განყოფილებაში დასტოვებით აწყვია ძველი და ახალი საბუთები. „გალის საპასპორტო განყოფილებაში რომ მივედი საბუთების ჩასაბარებლად, იმდენი ხალხი ირეოდა, მიტინგი მეგონა", – მითხრა ერთ-ერთმა გალელმა.**

**პირველ რიგში, იმათ აკმაყოფილებენ, რომლებმაც გასულ წლებში ჩააბარეს საბუთები, ხოლო ახალსაბუთებჩაბარებულებს პასპორტის აღებამდე ცნობებს აძლევენ. აფხაზური პასპორტის მფლობელებს უფლება ეძლევათ ამის შემდეგ „საზღვარგარეთის" (რუსეთისძ პასპორტებიც აიღონ.**

**აფხაზური პასპორტების აღების მსურველთა შორის მრავლად არიან აფხაზეთის**



**ფარგლებს გარეთ მცხოვრებნიც. ბევრ დევნილს, რომლებიც სამეგრელოში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არიან განთავსებულნი, ჯიბეში უდევს აფხაზური პასპორტი, თანაც ისე, რომ მათ არ აიძულებენ უარი თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე. გასულ წლებთან შედარებით აფხაზური პასპორტის აღების პირობები უფრო გამარტივდა. „აფხაზური პასპორტი ჩვენ ხელს არაფერში შეგვიშლის, ჩვენს თვითმყოფადობას, ქართულ ცნობიერებას არ დაგვაკარგვინებს, ოღონდ რაიმე სასიკეთო ძვრები მოხდეს ჩვენს სასარგებლოდ და... დროებით აფხაზურ პასპორტსაც გამოვიყენებთ, – მითხრეს დევნილებმა.**

**ლადო ქირია,**
ზუგდიდიდან

# რუსეთი და საქართველო: რა ხდება?

2006 წლის 26 მაისს თბილისში ე.წ. საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი გაიხსნა. თავად ამ ფაქტით, რომელიც ბალტიისპირელების წაბაძვით მოხდა, ითქვა: „საბჭოთა პერიოდის ისტორიას საქართველოსათვის მხოლოდ უარყოფითი შედეგები აქვს მოტანილი“. მუზეუმის შექმნის ინიციატორებს დაავიწყდათ დღეს უკვე მართლაც სამუზეუმოდ ქცეული რუსთავის მეტალურგიული ქარხნის განთავსება მუზეუმში, თავად ქალაქ რუსთავითურთ, რომელიც სწორედ ოკუპაციის პირობებში აშენდა... მუზეუმში არ არის ინფორმაცია არც თბილისის მეტროპოლიტენზე, წიფის გვირაბზე, ჰიდრო და თბოელექტროსადგურებზე, ვირტუოზულ ქართულ ფოლკლორულ ანსამბლებზე, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებზე და ა.შ., – ყოველივე ეს საბჭოთა ოკუპაციის პირობებში აშენდა, დაინერგა და განვითარდა სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ... არ არის განთავსებული სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რა შემოსავალი ჰქონდა რიგით მშრომელ ქართველს ოკუპაციის პირობებში და რა შემოსავალი აქვს დღეს. მინიშნებაც არაა იმაზე, რომ საბჭოთა ოკუპაციის პირობებში ქართველი მათხოვარი ქუჩაში არავის ახსოვს და არც ქართველი მანდილოსნები ვაჭრობდნენ საკუთარი სხეულით თურქეთის ქალაქებში.

აშკარაა, რომ „ოკუპაციის მუზეუმის“ იდეის ავტორებს ნაკლებად აინტერესებდათ საბჭოთა ეპოქის ისტორიის ობიექტური შეფასება, მათი მიზანი იყო რუსული სახელმწიფოსაგან მუდმივი მტრის ხატის შექმნა. შემთხვევითი არ არის, რომ 2009 წლის 7 აგვისტოს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ღია ცის ქვეშ, მოხდა კიდევ ერთი „ოკუპაციის მუზეუმის“ პრეზენტაცია – ამჯერად უკვე არა საბჭოთა, არამედ თანამედროვე რუსულის... თუმცა პრობლემების არსი ამ მუზეუმებში არ არის, პრობლემის არსი არის ის, რომ მტრის ხატი მეზობელი რუსეთისაგან საქართველოში, უკვე 20 წელია, ინერგება და მიზანმიმართულად ძლიერდება.

ჩვენ ვსვამთ შეკითხვას: რა ხდება? ამ კითხვიდან გამომდინარეობს დანარჩენი კითხვები: რატომ ხდება ასე? ვინ სარგებლობს საქართველოში რუსეთის მტრის ხატის არსებობით და როგორ ხდება მუდმივად რუსულ-ქართული ურთიერთობების ამღვრევა?

ასევე აუცილებლად მიგვაჩნია, სამომავლო კითხვაც დავსვათ: რამდენად მოგებულია ქართული სახელმწიფო, ქართველი ხალხი, ანტირუსული პოლიტიკით? რას გვიქადის რუსეთთან კონფრონტაციის გაგრძელება?



სურათზე: „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი“. მუზეუმში განგებ არის შექმნილი დამთრგუნველი ატმოსფერო, ვიზუალური ეფექტები, რომლებიც თითქმის სამგლოვიარო განწყობას ქმნიან და ამით დარტყმას აყენებენ დამთვალიერებლის „ქვეცნობიერს“. ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ დამთვალიერებელი განიმსჭვალოს საბჭოთა წარსულისა და საბჭოეთის სამართალმემკვიდრე რუსეთისადმი სიძულვილით.

გამოვყოფთ სამ ძირითად ფაქტორს, ანუ მიზეზს, რომლებიც განაპირობებს რუსულ-ქართულ დაპირისპირებას მთელი ამ პერიოდის მანძილზე. ესენია: 1. რუსული პოლიტიკის მიერ საქართველოსთან მიმართებაში დაშვებული სტრატეგიული და ტაქტიკური შეცდომები; 2. ქართული პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების მიერ რუსეთთან ურთიერთობებში დაშვებული შეცდომები, მათ შორის დანაშაულებრივი შეცდომები; 3. ე.წ. მესამე მხარის ფაქტორის არსებობა, რომელიც აღვივებს რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არსებულ ისედაც რთულ ვითარებას და რუსეთისა და საქართველოს ერთმანეთზე გადაკიდების გზით თავად ცდილობს კავკასიაში სარგებლის მოპოვებას.

პირველ ფაქტორს წინამდებარე გამოცემაში შეგნებულად არ განვიხილავთ – რუსეთის შეცდომებზე რუსებს უნდა ველაპარაკოთ და ველაპარაკებით კიდეც, წინამდებარე გამოცემის ავტორები არაერთი შესაბამისი სტატიით გამოსულან რუსულ პრესაში, რუსი მკითხველის წინაშე. ამიტომ ყურადღება გავამახვილოთ ბოლო ორ პუნქტზე, რადგან სწორედ მათი სწორად გააზრება ქართული საზოგადოების მიერ მიგვაჩნია გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე რუსეთის გაუთავებელი კრიტიკა და ლანძღვა.

განვიხილოთ ჩვენი, ქართული მხარის შეცდომები (ან სულაც ცალკეული პირების ბოროტი განზრახვაძ და, ამასთან, ვნახოთ, პარალელურად რა წვლილი მიუძღვის დასავლეთს საქართველოს გაქეზებაში რუსეთის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ 1989 წლის გაზაფხულზე, როდესაც აფხაზებმა მოიწვიეს ეროვნული ყრილობა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში და საბჭოთა კანონების საწინააღმდეგოდ (ამ გარემოებას ყურადღება მივაქციოთ!ძ საქართველოს შემადგენლობიდან გასვლა მოითხოვეს, თბილისში დაიწყო აპრილის საპროტესტო გამოსვლები. ნაცვლად იმისა, რომ ქართველებს მოეთხოვათ, მაშინდელ კრემლს დაეგმო აფხაზთა ყრილობის უკანონო მოთხოვნები, თბილისის მიტინგებზე გაჩნდა ჯერ ანტისაბჭოთა, შემდეგ კი მალევე პირდაპირ ანტირუსული ლოზუნგები. „ძირს დამპალი რუსეთის იმპერია!“ – აი ეს ლოზუნგი გახდა 1989 წლის თბილისის მიტინგების მთავარი „მოთხოვნა“, სინამდვილეში კი უაზრო ანტირუსული პროვოკაცია, რომელიც არა მარტო საბჭოთა ცენტრს განაწყობდა პროაფხაზურად და ანტიქართულად, არამედ პერსპექტივაში რუს ხალხთანაც გვაპირისპირებდა (ამის შესახებ იხ. გ. წიქარიშვილის ფსევდონიმით გამოსული, ჟურნალისტ დავით გამცემლიძის ნაშრომი „ჟამი ჭეშმარიტი“, თბ. 2004 წ.ძ.

ეს ფაქტი მეტად სიმპტომატურია: გარდა იმისა, რომ აპრილის საპროტესტო მიტინგის მიზეზი – აფხაზების უკანონო მოთხოვნების დაგმობა – უკანა პლანზე გადავიდა, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა რუსეთისადმი აგდებულ დამოკიდებულებას, ანტირუსულ განწყობებს დაუკავშირდა. 1991 წლის 9 აპრილს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტშიც რუსეთის იმპერიის მიერ მე-19 საუკუნეში საქართველოს სახელმწიფოებრიობის (ძალითძ გაუქმებასა და „ანექსიაზე“ არის საუბარი... დავანებოთ თავი ისტორიულ ფაქტებს, მაგრამ, რაც არ უნდა სიმართლე იყოს, ყველაფერი ასეთი მნიშვნელობის დოკუმენტში არ არის ჩასაწერი. გათვალისწინებული არ იქნა, რომ რუსეთი საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგაც გააგრძელებდა არსებობას და ჩვენი დიდი მეზობელი დარჩებოდა, გამომდინარე აქედან კი არ იყო საჭირო რუსეთის ნეგატიური როლის აქცენტირება. პერსპექტიული ქვეყნების დამოუკიდებლობა პოზიტიური იდეებით განისაზღვრება და არა ისტორიაში უაზრო „ქექვით“, რითაც შეიძლება, შენი დიდი მეზობელი უმიზეზოდ გააღიზიანო.

თუკი ეს შეცდომები საქართველოს მაშინდელ ლიდერთა და ეროვნული მოძრაობის წევრთა გამოუცდელობას შეიძლება მიეწეროს (იმ შემთხვევაში, თუ ამ ლიდერებზე კეთილი განწყობით ვიმსჯელებთძ, უფრო რთულად ასახსნელად გამოიყურება ედუარდ შევარდნაძის პირველი ნაბიჯები რუსეთთან მიმართ პოლიტიკაში, როდესაც იგი 1992 წელს დაბრუნდა საქართველოში და სახელმწიფოს მეთაურად აირჩიეს.

პირველი სერიოზული დილემა, რომლის წინაშეც დამოუკიდებელი საქართველო დადგა, იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთძ მისი წევრობის საკითხი. როგორც ცნობილია, დსთ დაფუძნდა რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსის პრეზიდენტების მიერ 1991 წლის 7 დეკემბერს და ამ ორგანიზაციაში წევრობა ყველა სახელმწიფოსათვის შესაძლებლად გამოცხადდა. მეტიც, დამფუძნებელი სახელმწიფოების ლიდერებმა მოუწოდეს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს, გაწევრებულიყვნენ ახლად შექმნილ ორგანიზაციაში. დსთ მოიაზრებოდა როგორც საბჭოთა კავშირის „ცივილიზებული დაშლის“ მექანიზმი, რუსეთის ფედერაციის მიერ კი იგი ერთგვარ „უსაფრთხოების სარტყელად“ განიხილებოდა, ვინაიდან რუსეთს სსრკ დანგრევის შემდეგ წარმოშობილი საზღვრების ფარგლებში თავისი ისტორიის მანძილზე ჯერ არასოდეს უარსებია, მას ამიტომ განსაკუთრებულად ესაჭიროებოდა თავის საზღვრებს გარშემო მეგობრულად განწყობილი ქვეყნები, ამ მეგობრული განწყობის დადასტურება კი აღნიშნული ქვეყნების დსთ-ში შესვლა თუ იქნებოდა.

მაგრამ საქართველოში დსთ-ს დაფუძნება უარყოფითად იქნა აღქმული. ჯერ კიდევ პრეზიდენტმა ზ.გამსახურდიამ მოასწრო მისი „მოდერნიზებულ იმპერიად“ გამოცხადება და უარყო საქართველოს წევრობა ასეთ ორგანიზაციაში. შევარდნაძის მმართველობის დასაწყისში გამსახურდიას მომხრეები ავრცელებდნენ ხმებს, რომ შევარდნაძე იმისათვის მოევლინა საქართველოს, რათა იგი დსთ-ში „შეათრიოს“, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ დსთ-ში საქართველოს შესვლის წინააღმდეგ ისეთი პოლიტიკური ძალებიც გამოვიდნენ, რომლებიც „ზვიადისტებთან“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ დაპირისპირებულნი: ედპ გია ჭანტურიასა და, რაც დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებით საინტერესოა – ირინა სარიშვილის თამადობით, რესპუბლიკური პარტია (ძმები ბერძენიშვილებიძ, სახალხო ფრონტი (ნოდარ ნათაძეძ, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (ირაკლი წერეთელიძ, ისევე, როგორც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს შესვლის იდეას დსთ-ში, თითქოს ეს ქართული სახელმწიფო სუვერენიტეტის დაკარგვას თუ არა, მნიშვნელოვან შეზღუდვას მაინც მოასწავებდა.

არადა, ამ ორგანიზაციის დაფუძნებისთანავე მასში ყოფილი სსრკ-ის აბსოლუტურად ყველა რესპუბლიკა შევიდა (ბალტიისპირეთის გარდა – მათ სხვა სასტარტო შესაძლებლობები ჰქონდათ, ნაციონალისტ ელჩიბეის აზერბაიჯანი კი „ასოცირებულ წევრად“ მაინც განიხილავდა თავის თავსძ. საინტერესოა: სომხები, მოლდოველები, ყაზახები, უზბეკები და სხვები უარს ამბობდნენ დამოუკიდებლობაზე და ჩვენ, ქართველები გამოვდიოდით ყველაზე თავისუფლებისმოყვარენი და თან ჭკვიანები? რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის და დსთ-ს ლანძღვით ჩვენ არა მარტო რუსეთს, არამედ ყველა დანარჩენ რესპუბლიკასაც ვუპირისპირდებოდით... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წევრ-სახელმწიფოთა სუვერენიტეტის უზენაესობა თვით დსთ-ს სახელწოდებაშია ჩადებული. ნებისმიერ სხვა რესპუბლიკაში ესმოდათ, რომ ესაა ამორფული ორგანიზაცია, რომელსაც ფორმალური ცენტრიც კი არ გააჩნია, გადაწყვეტილებები მიიღება ორგანიზაციის სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობების სხდომებზე, უპირატესობა კი ეროვნული სახელმწიფოების ნებასურვილს აქვს მინიჭებული... ამასთან, დსთ-ში წევრის სტატუსის არქონა საკმაოდ ართულებდა საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებს ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებთან, პირველ რიგში, ისევ რუსეთთან. ჩვენს ექსპორტიორებს რუსეთში დამატებით იმპორტის გადასახადი 15 %-20%-ის ფარგლებში უნდა გადაეხადათ მხოლოდ იმის გამო, რომ ფორმალურად არ ვიყავით დსთ-ის წევრი... რა უნდა გვქონოდა ასეთი ორგანიზაციის საწინააღმდეგო, მით უმეტეს, რომ ვიცოდით – ჩვენი არშესვლით რუსეთი უკიდურესად გაღიზიანდებოდა, ხოლო დასავლეთი ბოლომდე მხარს არ დაგვიჭერდა?!

შევარდნაძემ უარი განაცხადა დსთ-ში წევრობასთან დაკავშირებით, იგი აჰყვა იმჟამინდელ კონიუნქტურასა და იაფფასიან პოპულიზმს. მაგრამ როდესაც 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა და პირადად მის სკამს დაემუქრა საფრთხე, აი სწორედ მაშინ იკადრა და რუსეთს თანხმობა განუცხადა დსთ-ში საქართველოს წევრობაზე – აფხაზეთის გადასარჩენად ეს უკვე დაგვიანებული ნაბიჯი იყო... რომ არა დსთ-ს საკითხისადმი საქართველოს არასწორი პოზიცია, ჯერ კიდევ საკითხავია, საქართველო დაკარგავდა ტერიტორიებს თუ არა, რუსეთი აფხაზ და ოს სეპარატისტებს უფრო დაეხმარებოდა თუ სიტუაციას დააშოშმინებდა, რაც საქართველოს აწყობდა...

მაგრამ მიუხედავად ჩვენი ასეთი უნიათობისა და უპასუხისმგებლობისა, რუსეთი მაინც არ იყო საიმისოდ მოწადინებული, რომ საქართველოს საბოლოოდ ჩამოშორებოდა აფხაზეთი და შიდა ქართლი. კრემლის შუამავლობით ცეცხლი შეწყდა ცხინვალის რეგიონში (1992 წლის 24 ივნისის დაგომისის შეთანხმებებიძ. გავიხსენოთ ასევე სოხუმის დაცემის წინა დღეები. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი პ.გრაჩოვი წინადადებას უგზავნის შევარდნაძეს, მიიღოს რუსეთის სამშვიდობო გეგმა, რომელიც კერძოდ ითვალისწინებს სოხუმთან, მდინარე გუმისთაზე რუსული სამშვიდობო ჯარების ჩაყენებას. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ შევარდნაძე გრაჩოვს უარით პასუხობს (შემდეგ ქართული საზოგადოების წინაშე თავს იმით „იმართლებდა“, გია ყარყარაშვილი და ირაკლი ბათიაშვილი იყვნენ ამ გეგმის წინააღმდეგებიოძ. არადა, ეს ის დღეებია, როდესაც სოხუმში შტურმი მიმდინარეობს და აშკარაა, რომ ქალაქი მალე დაეცემა. მართლაც, მოწინააღმდეგემ სოხუმი აიღო და მალე მთელი აფხაზეთი დაიკავა გალის რაიონის ჩათვლით, მდინარე ენგურამდე. შევარდნაძე მხოლოდ ამის შემდეგ აცხადებს თანხმობას, რუსი მშვიდობისმყოფელები განლაგდნენ მდ.ენგურზე... საინტერესოა: რომელი ვარიანტი აჯობებდა საქართველოსთვის: რუსული ჯარები გუმისთაზე განლაგებულიყვნენ და დღეს სოხუმი საქართველოს კონტროლის ქვეშ ყოფილიყო თუ ის, რა ვითარებაც დღეს გვაქვს – როცა აფხაზებთან საზღვარი ენგურზე გადის?!.

**გულბაათ რცხილაძე,**
**გიორგი ვეკუა**

(გაგრძელება იქნება)




სურათზე: აფხაზეთის რუკა შეხსენებისათვის — სად მდებარეობს მდინარე გუმისთა და სად — მდინარე ენგური. რუსულ გეგმაში შედიოდა სამშვიდობო ჯარების განლაგება გუმისთაზე, მაგრამ გაიმარჯვა შევარდნაძის გეგმამ — რუსები განლაგდნენ ენგურზე.

### რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „მიწა, რომელიც მათ დაიპყრეს, ქვა და კლდეა. მისი ერთადერთი ფუნქცია ჩვენზე თავდასხმაა“

**იმ ლიდერისთვის, რომელმაც მისი ტერიტორიის 20% უცხო ზესახელმწიფოსთან დაპირისპირების დროს დაკარგა, მიხეილ სააკაშვილი განსაკუთრებით ენერგიულად გამოიყურება. მართალია, რუსებისგან ამ მიწას ძალით ვერ დაიბრუნებ, მაგრამ ის ამტკიცებს, რომ საქართველო გრანდიოზულ წარმატებებს აღწევს საკუთარი პოზიციის დაცვისა და კავკასიაში გავლენის გავრცელების თვალსაზრისით.**

დღეს, ბრიტანეთის მთავრობა ლონდონში ვიზიტით მყოფ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან დაკავშირებული სიტუაციის დარეგულირებას მოსთხოვს. ეს რეგიონები საქართველოსთან 2008 წლის ომის შემდეგ, ფაქტობრივად, რუსეთს ექვემდებარება.

როდესაც დევიდ კამერონი ოპოზიციის ლიდერი იყო, კონფლიქტის დროს ის პირველი დასავლელი პოლიტიკოსი გახლდათ, რომელიც საქართველოში გაემგზავრა. დაუნინგ-სტრიტი ამტკიცებს, რომ პრემიერი დღესაც ცდილობს ამ საკითხში სამართლიანობის მიღწევას. მალე ნატო ამ თემაზე მოსკოვთან მოლაპარაკების მორიგ რაუნდს გამართავს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ამტკიცებს, რომ ჯარების გაყვანასთან დაკავშირებულ საკუთარ მოთხოვნაზე უარს არ იტყვის.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთი კავკასიის ამ ხანმოკლე ომიდან თითქმის სამი წელი გავიდა, რუსეთის არმია ორ სეპარატისტულ რეგიონში საკუთარ პოზიციებს მხოლოდ ამყარებს. სააკაშვილი თავის საპრეზიდენტო სასახლეში ზის და ჩივის: „ისინი ჩვენს საზღვრებს არ აღიარებენ, არ აღიარებენ ჩვენს მთავრობას და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას. რუსებმა ამ ადგილიდან 40 კილომეტრში რაკეტები განათავსეს. ეს რაკეტები საკმარისია ამ ადგილის განადგურებისთვის. ეს წარმოდგენა არ არის, ეს ძალიან დიდი პრობლემაა“.

საქართველომ იმ არეულობების საკუთარი ვერსია, რომელმაც დღეს ახლო აღმოსავლეთი მოიცვა, რვა წლის წინათ გადაიტანა. მაშინ, „ვარდების რევოლუციის“ დროს, სააკაშვილი დემონსტრანტებს პარლამენტისკენ გაუძღვა და ედუარდ შევარდნაძის გადადგომას მიაღწია.

Independent-ის კორესპონდენტთან საუბრისას, არაოფიციალურად, მაისურში, სპორტულ ქურთუკსა და შავ ჯინსში გამოწყობილი პრეზიდენტი აცხადებს, რომ დასავლეთი ვალდებულია იმ ქვეყნის მხარეს დადგეს, რომელიც დემოკრატიული ფასეულობების დაცვას ცდილობს.

საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად თქვა უარი დაკარგული ტერიტორიების ძალით დაბრუნებაზე. სინამდვილეში, ეს მხოლოდ ჟესტია და მეტი არაფერი, თუმცა სააკაშვილი ამტკიცებს, რომ მან სერიოზული გარდაქმნა წამოიწყო და ამისთვის დასავლეთისგან დაპირებულ მხარდაჭერას ელოდება.

არ ვფიქრობ, რუსეთს რაიმენაირი ილუზიები ჰქონდეს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ მათ თავს ვესხმით. იმ ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელიც მათ დაიპყრეს, ქვა და კლდეა. მისი ფასი ნულია, ხოლო ეს მიწა ფასეული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ მას ჩვენზე თავდასხმისთვის გამოიყენებს“.

ამავდროულად, საქართველო მშვიდობიან შეტევაზე გადავიდა, იყენებს დიპლომატიას, ინფორმაციის მასობრივ საშუალებებს, კულტურას და სამთავრობო სტრუქტურებს. ახლახან რეჟისორმა რენი ჰარლინმა, რომლის აქტივშიც ისეთი ფილმია, როგორიცაა „კერკეტი კაკალი 2“, ომზე ჰოლივუდური ფილმი „აგვისტოს 5 დღე“ გადაიღო. ფილმში ენდი გარსია პრეზიდენტ სააკაშვილს თამაშობს, რუპერტ ფრენდი კი ჟურნალისტს, რომელიც იმ გასამხედროებული ფორმირებების სისასტიკეს ამხელს, რომლებიც რუსების მხარდაჭერით მოქმედებდნენ.



ამ ფილმს, რომელშიც ქართველებისადმი აშკარა თანაგრძნობა ვლინდება, დამოუკიდებელი წყაროები აფინანსებდნენ და საქართველოს მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სცენარის შექმნაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია.

სააკაშვილი ამბობს: „ერთხელ ენდი გარსიას სადილზე შევხვდი და ის სულ იმას კითხულობდა, თუ როგორ გამოითქმება ესა თუ ის სიტყვა. გადაღებული მასალა არ მინახავს, მაგრამ ერთი ფილმით წარმოდგენებს ვერ შეცვლი. ამ ომით ხალხი დაიღალა და მათ სხვა რაღაცის ნახვა სურთ. მაგრამ რუსები არასდროს არ ნებდებიან, მათ ძლიერი მანქანა აქვთ, რომელიც მუდმივად მუშაობს, მუშაობს, მუშაობს“.

თუმცა, საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს თანამგზავრულ ტელეარხ Kanal PIK-ს და აფინანსებს მას. ტელეკომპანიამ ახლახან მაუწყებლობა რუსულ ენაზე რუსეთის ტერიტორიაზე დაიწყო, ასევე ჩრილოეთი კავკასიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე.

არხზე გამოცდილი და ავტორიტეტული ჟურნალისტების საერთაშორისო კოლექტივია. საქართველოს მთავრობა ამტკიცებს, რომ არხი ანტირუსული პროპაგანდის იარაღი არ იქნება. ერთ-ერთი თოქშოუს წამყვანია ალა დუდაევა, 2006 წელს რუსული რაკეტით მოკლული ჩეჩენი აჯანყებულების ლიდერის ჯოჰარ დუდაევის ქვრივი. მაგრამ ის პოლიტიკას თავს არიდებს.

საქართველომ ვიზები გააუქმა მთელი რიგი ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკებისთვის. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამას „მორიგი პროპაგანდისტული ნაბიჯი“ უწოდა. ხოლო ზოგიერთმა მოსკოველმა ჩინოვნიკმა განაცხადა, რომ ტერორისტებს ახლა უსაფრთხო თავშესაფარი გაუჩნდათ, განსაკუთრებით 2014 წლის სოჭის ოლიმპიური თამაშების წინ.

ვაშინგტონის Center for American Progress-ის („ამერიკული პროგრესის ანალიტიკური ცენტრი“ძ თავის ანგარიშში აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, თუ რა მოტივები აქვს საქართველოს მთავრობას, მოსკოვის მხრიდან ეს პირველ რიგში აღიქმება, როგორც არასტაბილურობის გაღვივებისკენ მიმართული პოლიტიკა“.

სააკაშვილი პასუხს არ აყოვნებს და ამბობს, რომ ომის დროს ჩრდილოკავკასიელთა არარეგულარული სამხედრო ფორმირებები რუს სამხედროებს ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ, ძარცვავდნენ და კლავდნენ ხალხს, ამიტომ საქართველოს სხვა არჩევანი არ დარჩა, თუ არა ამ ქვეყნებთან ურთიერთობების მოგვარება.

საქართველოს პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ მისი მთავრობის მიერ ჩატარებული რეფორმები ისეთ სფეროებში, როგორიცაა კორუფცია და კერძო ბიზნესის მხარდაჭერა (ხოლო ამ რეფორმებმა მსოფლიო თანამეგობრობისგან მაღალი შეფასება დაიმსახურაძ, რეგიონში თანამშრომლობის განვითარებისთვის მამოძრავებელი ძალა გახდება.

მოდერნიზაციის და რეფორმების ტემპის შენელება არ მოხდება. „ჩვენთან სამხრეთი აფრიკიდან ფერმერები ჩამოდიან, რათა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით დაგვეხმარონ. დიდი გარდაქმნები გვექნება განათლების სიტემაში – 10 000 ამერიკელი, ბრიტანელი და კანადელი ჩამოვა, რომლებიც ინგლისურს ასწავლიან. მილიონებს ვდებთ ახალ ტექნოლოგიებში. ჩვენ სინგაპურს ვუყურებთ და ვიცით, რომ შეგვიძლია მსგავსი ქვეყანა გავხდეთ ამ რეგიონში. ჩვენთან არ არსებობს ბიუროკრატია“.

მაგრამ მოუტანს კი ამ ღირებულებებისადმი ერთგულება საქართველოს იმ პოლიტიკურ მხარდაჭერას და აღიარებას, რომლისკენაც ის მიისწრაფვის? ნატო ყველანაირად ცდილობს რუსეთის მხარდაჭერის მოპოვებას ავღანეთის მისიაში. შეერთებულ შტატებს სურს მოსკოვის ჩართვა თავის ანტისარაკეტო თავდაცვის ევროპულ პროგრამაში.

THE INDEPENDENT

# ქრთამთან დაკავშირებული ისრაელური საქმე სასამართლო სისტემას ყურადღების ცენტრში აქცევს

**საქართველო, რომელსაც ხშირად აფასებენ მსოფლიოს წამყვან რეფორმატორ ქვეყნად, შეჩვეულია იმას, რომ კარგი ბიზნესგარემოს გამო აქებენ, მაგრამ სასამართლო პროცესი ორი ისრაელელი ბიზნესმენის წინააღმდეგ, რომლებსაც ბრალი ქრთამის გადაცემასთან დაკავშირებით ედებათ, ქართული სასამართლოების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით შეშფოთებას იწვევს, ყოველ შემთხვევაში, იმ საქმეებთან დაკავშირებით, სადაც მთავრობა უცხოელ ინვესტორებს უპირისპირდება.**

ნავთობით მოვაჭრე რონ ფუქსი და მისი თანაშემწე ზეევ ფრენკელი ჩართულები იყვნენ 14-წლიან დავაში საქართველოს მთავრობასთან იმ ნავთობსადენის საიჯარო ხელშეკრულების გამო, რომელშიც ფუქსმა და მისმა ბერძენმა პარტნიორმა იოანის კარდასოპოლუსმა ინვესტიცია განახორციელეს. 2010 წლის მარტში, ვაშინგტონში არსებულმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა „საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრმა“ (ICSIDძ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საიჯარო ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო საქართველოს მთავრობამ ფუქსს და მის ბერძენ პარტნიორს იოანის კარდასოპოლუსს 98 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს.

მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა. 2010 წლის ოქტომბერში, სამ თვეში მას შემდეგ; რაც საქართველოს მთავრობამ არბიტრაჟის გადაწყვეტილება უარყო, ფუქსი და ფრენკელი თბილისში ციხეში აღმოჩნდნენ. მათ ბრალი ედებათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის ავთანდილ ხარაიძესთვის 7 მილიონი დოლარის ქრთამის შეთავაზებაში იმის სანაცვლოდ, რომ მთავრობა არბიტრაჟის გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებდა.

ბრალი ფუქსის პარტნიორს კარდაპოლუსსაც წაუყენეს, ოღონდ დაუსწრებლად.

საქმემ უმალ მიიპყრო ოპოზიციისა და მისდამი სიმპათიით განწყობილი მედია-საშუალებების ყურადღება. მათი ვარაუდით, მთავრობამ საგანგებოდ შემოიტყუა ფუქსი და ფრენკელი ქვეყანაში, რათა საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ჯარიმის გადახდისთვის თავი აერიდებინა. წყვილი ბათუმში ფინანსთა მინისტრის მოადგილესთან ხარაიძესთან შეხვედრის დროს დააპატიმრეს.

საქართველოს მთავრობა ამტკიცებს, რომ ICSID-ის გადაწყვეტილებას არანაირი კავშირი არა აქვს მის ქრთამთან დაკავშირებულ ბრალდებებთან. ეს უკანასკნელი ძირითადად ეყრდნობა რამდენიმესაათიან ფარულ აუდიო და ვიდეოჩანაწერს, რომელზეც ასახულია ფუქსის, ფრენკელის და ქართველი ჩინოვნიკების შეხვედრები თურქეთსა და საქართველოში.

დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ და ამტკიცებენ, რომ საქართველოში იმის გამო ჩამოვიდნენ, რომ პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურისგან წერილობითი მოწვევა მიიღეს, რათა განეხილათ „ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილება“ გაურკვეველ „მიმდინარე მოლაპარაკებაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.

დაცვის ადვოკატი არჩილ კბილაშვილი ამტკიცებს, რომ ნაწილობრივ გილაურის სავარაუდო წერილზე დაყრდნობით გადაწყვიტა ამ ორმა ადამიანმა ის, რომ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ხარაიძე პრემიერ-მინისტრ გილაურის თანხმობით მათთან აწარმოებდა მოლაპარაკებას 7 მილიონი დოლარის „ინვესტიციაზე“ იმის სანაცვლოდ, რომ მთავრობა ნაკლებ ოდენობის კომპენსაციას – 72 მილიონ დოლარს გადაიხდიდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, რომელიც ფუქსის და ფრენკელის საქმეს იძიებს, გილაურის სავარაუდო წერილი მტკიცებულებად გაიზიარა, მაგრამ ის „უმნიშვნელოდ“ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა დაცვის მოთხოვნა, რომ პრემიერ-მინისტრის ან ფინანსთა მინისტრის კახა ბაინდურაშვილისთვის მოეთხოვათ ამ ორ მამაკაცთან მთავრობის მოლაპარაკების ფაქტის დადასტურება. სასამართლომ არც ის გაიზიარა, რომ სტამბოლში ფუქსთან და ფრენკელთან შეხვედრების ჩაწერა თურქეთის კანონმდებლობით აკრძალული იყო.

სასამართლომ, რომლის სხდომებიც იანვარში მიმდინარეობდა, იმის ნაცვლად რომ მოწმეების ჩვენებებისთვის მოესმინა, მთელი თვე იმაზე დახარჯა, რომ ფუქსის და ფრენკელის ჩინოვნიკებთან ხანგრძლივი საუბრების ჩანაწერებს ცოცხლად, ქართული თარგმანის თანხლებით ისმენდა.

მიმდინარე სასამართლო გამოძიებაზე საუბრისას, პრემიერ-მინისტრის სამსახურის წარმომადგენელმა უარი თქვა EurasiaNet.org -სთვის კომენტარი მიეცა გილაურის შესაძლო მონაწილეობაზე ფუქსის და ფრენკელის მოლაპარაკებაში. 2011 წელს მთავრობამ ICSID-ს ფუქსი-კარდაპოლუსის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების „გადახედვის“ თხოვნით მიმართა.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო შიშობს, რომ ეს საქმე საქართველოსთან საინვესტიციო ურთიერთობებს ავნებს, თუმცა EurasiaNet.org-თან უშუალოდ საქმეზე საუბარი არ ისურვა.

მიუხედავად სასამართლო პროცესის შედეგებისა, საქართველოს მთავრობა, რომელსაც წლების განმავლობაში აქებდნენ ის ჯგუფები, რომლებიც გლობალურ ბიზნეს-კლიმატს აკვირდებიან, ცდილობს შეინარჩუნოს მისი, როგორც ბიზნესისთვის ხელშემწყობი გარემოს მქონე ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია ინვესტორებისთვის. ამ მიზნით ადგილობრივ საქმიან წრეებთან დაძაბულობის განსამუხტად ბოლო დროს ნაბიჯებიც გადაიდგა.

2010 წლის დეკემბერის დასაწყისში, საქართველოს აგრესიული საგადასახადო პოლიტიკის შემსუბუქების მიზნით, მიხეილ სააკაშვილმა მხარი დაუჭირა „ბიზნეს-ომბუდსმენის“ ინსტიტუტის შემოღებას, ასევე საგადასახადო კოდექსში ისეთი ცვლილებების შეტანას, რომელიც გარანტიებს შექმნის იმისთვის, რომ კომპანიები უნებლიე შეცდომებისთვის არ დაისჯებიან.

EURASIANET.org

## დედამიწის ზურგზე



**„იარაღის ბარონი“ ვიქტორ ბუტი კონსულს დახმარებას სთხოვს: აშშ ციხეში მას საჭმელს არ აჭმევენ**

მისი მთავარი პრეტენზიაა მწირი საკვები მისი ჯანმრთელობის პრობლემასთან დაკავშირებით. ვიქტორ ბუტს აღმოაჩნდა ტუბერკულოზის ჩხირები და მას გამოუწერეს ძლიერმოქმედი პრეპარატები. წინა პრეტენზიების შედეგად რუსი მეწარმე გადაიყვანეს უფრო თბილ კამერაში.

* * *

**კაიროში უწესრიგობის დროს სცემეს და გააუპატიურეს ამერიკელი ტელეჟურნალისტი**



„კონტროლის დაკარგვის შესახებ ბრბომ ორასზე მეტი კაცის შემადგენლობით“ გამოჰყო ლოგანი ძირითადი გადამღები ჯგუფისა და დაცვისგან და „მას მოუწყო მკაცრი და ხანგრძლივი სექსუალური ძალადობა და ცემა“.

* * *

**აშშ-ს დეპარტამენტი უშვებს „ტვიტერს“ რუსულ ენაზე**

ამის შესახებ ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის წინაშე გამოსვლის დროს თავის ვრცელ სიტყვაში განაცხადა დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელმა ჰილარი კლინტონმა. „ტვიტერმა“ სტარტი აიღო გასულ კვირას არაბულ და ფარსის ენებზე. ანალოგიური პროექტები გავა ჩინურ და ჰინდის ენებზეც.




* * *

**ფრინველის გრიპის აფეთქება იაპონიის პრეფექტურა მიეში**

მიმდინარე ზამთარში ეპიდემიამ მოიცვა იაპონიის უკვე რვა პრეფექტურა. მხოლოდ გუშინწინ გამოვლინდა ახალი პრეფექტურა ვაკაიამა. იქ უნდა გაანადგურონ 120 ათასი ქათამი. ყველაზე მეტად დაზარალდნენ მეფრინველეობის მეურნეობები მიაძაკის პრეფექტურაში. მთელს იაპონიაში უკვე გაანადგურეს ერთ მილიონზე მეტი ქათამი.

* * *

**ბაჰრეინის ოპოზიციამ მანამის ცენტრში კარვები გაშალა და მოითხოვს კაბინეტის ხელმძღვანელის შეცვლას**

ახალგაზრდობამ შიიტური გარეუბნებიდან თვითნებურად გადაარქვა სახელი დედაქალაქის ერთ-ერთ მოედანს. და მას თავისუფლების მოედანი უწოდა. ჩამოყალიბდა მოძრაობა „14 თებერვლის რევოლუცია“ – პოლიციასთან შეჯახების ხსოვნასთან დაკავშირებით, რასაც ადგილი ჰქონდა ორი დღის წინათ მანამის ქუჩებში.



ძაფმომდგარი საზოგადოება

# პასუხის პასუხად მეაყალმაყალე კალამბირს

**ოქროსფრთიან ქრონიკელ ზედელაშვილს, გელასა, რომელიც ჯიუტად ეყელყელავება ასო „ყ“-ს თავის ულტრაჟანრის ღია წერილ-რეპორტაჟში**

**ა, ბატონო, ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეს, სწორედ ისეა ამ ჩვენი ქრონიკელი ზედელაშვილის საქმე, გელასი, მწერალთა კავშირის სკანდალი თუ მეტ-ნაკლებად მიინავლა, ახლა ახალი სკანდალი ატყდა მხატვართა კავშირში. სათაურიც უკვე მზად არის. ამოვარდა მწერალთა კავშირი და გაჩნდა „დიდი სკანდალი საქართველოს მხატვართა კავშირში“...**

მაგრამ ეს ჩვენ უკვე აღარ გვეხება. შენ იცი შენი საქმისა და შენი გაუთავებელი სკანდალებისა, პატივცემულო ოქროსფრთიანო კოლეგავ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ამჟამინდელ საქართველოში სკანდალსა და აყალმაყალს რა გამოლევს, დადექი და წერე, ბოლოს იქნებ ერთი სქელტანიანი წიგნიც გამოსცე – „საქართველო სკანდალების ქვეყანა“ ან „ქართული სკანდალი“, ანდა სულაც „მე – სკანდალი!“ რომელშიც უთუოდ ეპოქის მშფოთვარე სუნთქვა იქნება ჩამუხტული. ასეა, როცა ყურს ისევე სიამოვნებს სკანდალი, როგორც რომ ადანდალი-დანდალი...

ახლა კი შენი პირმოხეული პასუხის შედარებით თავდაჭერილ პასუხსა გწერ. თავიდანვე იმედი უნდა გაგიცრუო და შეგატყობინო, რომ შენმა „აგენტურამ“ ვერ გაგიმართლა, ტყუილად მიმდგარხარ და მომდგარხარ. როგორც ექსპერტს არასწორად დაგიდგენია, რომ შენთან კამათში ჩაბმულია ისეთი ღირსეული და პროფესიონალი ჟურნალისტი როგორიც რუსლან რუსიაა, რომელსაც შენ, აწ უკვე ოქროსფრთიანი ჟურნალისტი, არაღირსეულად, არაპროფესიულად ედავები და შეურაცხმყოფელი ეპითეტებითაც კი იხსენიებ, რაც შენსავე პროფესიულ არაკეთილსინდისიერებაზე და პროფესიულ სისუსტეზე მეტყველებს. შენ დაწერილს ედავე, დამწერს რასა „ქექავ?“ ისე, მართალი თუ გინდა, შენთან შედარებით რუსლან რუსია, შორეულ მეტრებს რომ არ გადავწვდეთ, მელორ სტურუა მაინც არის... ამ შენი უხამსი უტაქტო ეპითეტების შემდეგ კი იმასთან არც პირისპირ შეხვედრას გირჩევ...

შე დალოცვილო, ჟურნალისტი, თუ მართლა ნამდვილი ჟურნალისტია, შენსავით კი არ უნდა ილანძღებოდეს და იგინებოდეს, ცილს კი არ უნდა სწამებდეს კოლეგას, არამედ საბუთიანად უნდა ეკამათებოდეს ჭეშმარიტების დასადგენად. დიდად სამწუხაროა, რომ ზოგიერთებს, მეტადრე კი ეგრეთ წოდებული ყვითელი პრესის(ავად თუ კარგად გატირაჟიანებულ-გაფულიანებულ წარმომადგენელთ, ჩვენი ნაციონალი პარლამენტარებისა არ იყოს, თავი ყოველმხრივ უცოდველებად წარმოგიდგენიათ. ხელშეუხებლობის სტატუსის მოპოვებას ცდილობთ, და კარგი ბიჭია, ვინმემ დაგიწუნოთ რამე, ანდა შენიშვნა მოგცეთ, უმალ დააძრობთ ჭორებზე ალესილ ხმალ-კალამს და უაზროდ ქნევა-ქნევაში მოწინააღმდეგეზე მეტად საკუთარ თავს ისისხლიანებთ. თქვენ ყველას ლაფი უნდა ასხათ, თქვენ კი ბუზიც ვერ უნდა აგიფრინონ.

დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა ახლა ჩვენ შორის. ვინაიდან შენი „ღია წერილ-რეპორტაჟი“ თავიდან ბოლომდე შეურაცხმყოფელი და რატომღაც დიდაქტიური და არა კოლეგიალური ჟურნალისტური ტონით არის გაჟღენთილი, იძულებული ვარ, რომ თავმდაბლობით, მაგრამ შესაბამისი თუ შესატყვისი სულისკვეთებითვე გიპასუხოთ და, რაც მთავარია, მართლაც „სიბინძურის ყულაბად“ ნუ გავხდით ჩვენი გაზეთების ფურცლებს, ნურც კიდევ ერთმანეთის სალანძღავ სარბიელად. ბაქიბუქობა ძალიან ცუდი საქმეა, და, დაე თვითონ მკითხველმა განსაზღვროს მეზობნის მეზობნი, აწ ვინ ბოდაურია წერაში და ვინ კიდევ ფეხაკანკალურებული, კოჭლი ჯაალაგი... უფრო სწორად, ვინ მართლაც საცოდავი და უბადრუკია....

ძალიან კარგია რომ წერ, ისე, მკითხველის პატივისცემა და რიდი რომ არა მქონდეს, სათაურში გამოტანილ უწმაწურ სიტყვას ასო-ბგერა „ყ“-საც დავუმატებდი და უფრო უკეთესადაც გამოჩნდებოდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლების სახეო, მაგრამ ისედაც ყველაფერი ნათელია – ქართველმა კაცმა მშვენივრად იცის, როგორ იგულისხმოს ასო-ბგერა „ყ“ – თავის ადგილზეო. შე კარგო დედოფლისწყაროელო მეაყალმაყალე კალამბირო, ჩვენც სწორედ მაგას გიკიჟინებდით, რომ მკითხველის მიმართ მეტი პატივისცემა და რიდი უნდა გქონოდა და უწმაწური სიტყვების ხარჯზე არ უნდა გეცადა ჟურნალისტური ლელოს გატანა, თორემ ქართველმა კაცმა რომ მშვენივრად იცის როგორ იგულისხმოს ასონიშანი „ყ“ თავის ადგილზე, არც ეს უნდა იყოს შენთვის უცხო. შენ რა ქართველი კაცი არა ხარ?!

მეგობრული შენიშვნების შემდეგ თუკი ჩვენ შენთვის **გამო ... ლევებულები** გავხდით, მაშინ შენც კარგა გვარიანად **და... ლევებული** ყოფილხარ... რაც შეეხება იმას, თითქოს ჩვენ სექსუალური აქტის შენელებას გაბრალებდეთ, ეს იმდენად ინტიმური და დელიკატური საკითხია, ჩვენ ამის არც დაბრალება შეგვიძლია და არც მტკიცება ან უარყოფა, შენი პოტენციის საკითხზე შენს უახლოეს ადამიანს უნდა დაელაპარაკო, თუმცა ამას ლაპარაკიც არ შველის, მუნჯურადაც გასაგებია. ასე რომ, ჩვენ არაფერ შუაში არა ვართ, შენ თვითონ ძალიან უადგილოდ წამოჭერი ეს საკითხი... კიდევ კარგი მალევე მიხვდი, რა

გა გვარიანად ავაჩქაროო, ერთი სიტყვით, როცა მინდა ვაჩქარო, როცა მინდა ჩემს გემოზე ვანელებ ეროტიკულ-სექსუალურ პროცესებსო... ყოჩაღ ქმაო, ამას თურმე თვით ნაპოლეონ ბონაპარტიც ვერ ახერხებდა. ნაღდად დედოფლისწყაროული ჯიუტი ჯეჯილი ჯაგლაზანოვა ყოფილხარ და ეგ არი!..

შენგან განსხვავებით, ჩვენ განზრახ არ გიწოდებთ მჯღაბნელს, როგორც იტყვიან, ეს თვითონ მკითხველის პრეროგატივაა. ხოლო ქართველმა მკითხველმა მარტო ის კი არ იცის მშვენივრად, როგორ იგულისხმოს „ყ“ თავის ადგილზე, არამედ ისიც კიდევ უფრო მშვენივრად უწყის, რომელი ჟურნალისტი როგორ წერს და რომელი – როგორ ჯღაბნის, ამდენად ეს აქ და ახლა გასარჩევი არ არის.

მე არ ვიცი, იქნებ სულაც დედოფლისწყაროული იდიომია ჭკუაზე დარიგება, მაგრამ პატრიარქმა რომ ჭკუა დაგვარიგა და არა ჭკუაზე დაგვარიგა, როგორც შენ წერ, შედეგი მაინც ერთი და იგივე უნდა გამოელო: პატრიარქისგან ჭკუადარიგებულთ მეტი სიბრძნისა და თავდაჭერის გამოჩენა მართებთ.

შენ კი, ძვირფასო ოქროსფრთიანო ჟურნალისტო, შეხტი და შეინავარდე... მე ვარ და ჩემი ტირაჟმრავალი „ქრონიკაო“... სიბრძნეს ვერ მოგთხოვ, მაგრამ, როგორც ჩანს, თავდაჭერასაც სიბრძნე უნდა... ერთი მეორეზეა დამოკიდებული...

შენი მეტაფორული აზროვნებისდა თანახმად, ჩვენ **„კუ“** ვყოფილვართ, უსუსური „კუ“, რადგან „საქართველოს რესპუბლიკა“ თურმე „კომუნისტის“ მემკვიდრეა (მაშინ „კუ“ კი არა, **„კო“** გამოვდივართძ, რომელსაც ფეხი გამოგვიყვია და მეც ნახირ-ნახირო კი არ დაგვიძახია, ეგრევე პირდაპირ ზედელაშვილის კრიტიკა დაგვიწყია, გელასი. აბა, თქვენ თვითონ მოუსმინეთ, მკითხველო, პატივცემულ ოქროსფრთიანს, რა ლექსიკით გვამკობს „კომუნისტის“ შეუცვლელ „სასტავს“:

**„პირველ წერილზე ერთი გამოსირებული გაისარჯა, ახლა ორი გამოსირებული მომდგა ერთდროულად, თანაც ფსევდონიმებით და იცით რატომ? ეს ჩემისები ძალიან კარგად მიცნობენ“...** გიცნობთ, მართლაც ძალიან კარგად გიცნობთ, აბა ისე ჰაერზე ხომ არ იტყოდი, ეს ჩემისებიო?! („**ქუჩაში დარიგებისა**“ არ იყოს, ესეც ეს „**ჩემისებიც**“ დედოფლისწყაროულ იდიომსა ჰგავსძ და კიდევ:

**„თქვე საცოდავებო, კარგად დახედეთ „ქრონიკას“, ზედ აწერია ის ტირაჟი, რომელიც თქვენ არასდროს დაგესიზმრებათ და როგორ გგონიათ, ამაში გელა ზედელაშვილის ოდნავი წვლილი მაინც არ არის?“**

არის, პატივცემულო, არის, როგორ არ არის, ის კი არა, შენი წვლილი რომ არ იყოს „ქრონიკას“ ვინ ჩივის, მგონი, „ალიასაც“ აღარ ეყოლებოდა მკითხველი. მართალია, ტრაბახი უგვანო კაცის საქმეა და თავის ქება კიტრადა ღირს, რასაც შენ და შენს წვლილს ვერ ვაკადრებთ, მაგრამ ცნობისთვის მაინც შეგახსენებთ (თუმცა, არც ისეთი ნორჩი ჟურნალისტი ხარ, თავადაც არ გახსოვდესძ, რომ „კომუნისტის“ ტირაჟმა ბოლოს მილიონს მიაღწია, ხოლო „საქართველოს რესპუბლიკა“ უკვე დამოუკიდებელ საქართველოში 700 ათასი იბეჭდებოდა, ეს ის პერიოდია, როცა „ქრონიკა“ ჯერ საერთოდ არ არსებობდა, ხოლო „ალია“ ის-ის იყო საქართველოში ფეხს იდგამდა, როგორც ებრაული გამოცემა... დანარჩენი თუ არ იცი, თქვენსავე გამომცემელს ჰკითხე...

ძალიან კარგია, ძვირფასო კოლეგავ, რომ შენს ღია-წერილ-რეპორტაჟში გარკვეულ ნაკითხობასაც ავლენ. ინგლისელ ორუელს რომ თავი დაანებოთ, ცოტა არ იყოს, „კაცია, ადამიანის“ პროლოგისთვისაც ჩაგიკრავს თვალი:

**„თქვე მართლა უბადრუკებო, მე ხომ ყოველ ორშაბათს გასქელებულ კისრებში გტაცებთ ხოლმე ხელს და სარკეში გახედებთო“.**

ისე, რახან შენიან უბადრუკებად გვთვლი (ეს ჩემისებიო, აკი ამბობ!ძ, იქნებ ერთი ჩვენი მეგობრული რჩევაც გაითვალისწინო: კვირაში, მოგეხსენება, შვიდი დღეა, ამ შვიდიდან ერთ დღეს, ორშაბათს თუ ჩვენ გვახედებ ჩვენს გამომცემლებთან ერთად, იქნებ დანარჩენი ექვსი დღიდან (თუნდაც შაბათ-კვირასძ ხანდახან შენც ჩაიხედო ხოლმე შენს გამომცემელთან ერთად მაგ შენს ჯადოსნურ სარკე-მიჭვრიტანაში... მგონი, ურიგო არ იქნება კარგა გვარიანად გასივებული საკუთარი თავის დანახვა... (შიგთავსის გასარკვევად, ალბათ, უკვე ტომოგრაფია იქნება საჭიროძ.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, შენსავით მჯღაბნელს არ გიწოდებ (მართალი გითხრა, ვისიმე ნაჯღაბნს, მით უმეტეს, ძველი ნაკომუნისტრებისას, აგრერიგად არ უნდა გადაეყვანე ჭკუიდან ერთ დროს ნაპიონერალ-ნაკომკავშირალი დედოფლისწყაროელი ჭაბუკი!. ჩანს, რაღაც ეკლად გენიშნა და მწარედაც მოგხვდა გულზე!ძ.

შენ უფრო კალამბირი ხარ, მეაყალმაყალე კალამბირი. ცხონებულ ი. გრიშაშვილს უყვარდა ამ სიტყვის ხმარება და ასე განმარტავდა: **კალმის ბოროტად მხმარებელიო**.

და ბარემ გრიშაშვილისავე სტრიქონით დაგიმთავრებ:

**თუ კალამბირი მქირდავდა, მაქებდა პატიოსანი...**

მართალია, რატომღაც არც სახელი მოგწონს ჩემი და არც გვარი, მაგრამ რაცა ვარ ესა ვარ, ერთი პირში მთქმელი გუდამაყრელი კაცი ვარ.

**აჭია ბაჭიაური**






*P. S. არ ისურვებ, თორემ ერთი ზედგამოჭრილი ჩვენებური თიკუნი მაქვს შენთვის შერჩეული: სკანდალა სკანდალაური, სანდალა კი არა, სკანდალა. როგორია? ისე, ჩვენკენ ზედელაურებიც არიან და გელაურებიც, რომელთაგან ზოგიერთი გილაურად იწერება. ბოლოს იმასაც გეტყვი, რომ ფილოლოგმა ლავრენტი გაბაშვილმა ხაშურიდან შეგვატყობინა, მაგ გაყოყოჩებულ ზედალაშვილ გელასთან შესახვედრად სპეციალურად ჩამოვალ, მაგაზე ნაკლები დამწერის ასე და ისეო... ხოლო რაც შეეხება ჩემს არა ფილოლოგობას, არამედ ფალოსოლოგობას, ამას შეხვედრისთანავე ადგილზე დავუმტკიცებო. შენ რას იტყვი ბატონ ლავრენტისთან შეხვედრაზე, არ ვიცი, ჩვენო ქრონიკელო კოლეგავ, მაგრამ საბოლოოდ, მგონი, მაინც დაზავება აჯობებს ქრონიკულ სკანდალსა და აყალმაყალს... რამაც, სულ ადვილი შესაძლებელია, უთვალავგვერდიანი „ქრონიკის“ ჩვენთვის დაუსიზმრებელ ტირაჟში შენი „ოდნავი წვლილიც“ ემანდ უსახელოდ არ გადაიყოლოს, რაც ნამდვილად დასანანია.*

*ჰო, მართლა, შენს „აუცილებელ განმარტებაში“ ავყიაობას მაინც არ იშლი (უფრო იუმორზე დებ თავს!) და წერ, რომ უკაცრავად კი ვარ მკითხველთან... მაგრამ, აბა, ერთი ხელი კარგად მაისვით, ჯანსულ ჩარკვიანმა ვითომ დროშის ტარი მე რომ დამაჭერინა, შიგ ხომ არა გაქვთო... შე მართლა ყიამყრალო, დროშის ტარი შენ თუ დაგაჭერინეს, ხელიც ერთი კარგად შენვე უნდა მაისვა, შენკენ გამოშვერილ ტარს სხვისაში რატომ ეძებ?!.*

*ესეც შენმა ქრონიკულად ქარაგმულმა სიტყვამ მოიტანა... თორემ ამას მაინც აღარ გაგიხსენებდით შენგან „საცოდავებად და უბადრუკებად“ მონათლულები, რომელთაც შენგან სრულიად უადგილოდ ნახსენები ორუელის „ფერმის“ ცხოველთაგან განსხვავებით ჯერჯერობით შეუცდომლად შეგვიძლია გარკვევა, ვინ ღორია და ვინ ადამიანი... მით უმეტეს, კალმის ნამუსიანად მსახური ადამიანი.*

*ა. ბ.*

სტუმარი

# რა კრიტერიუმით?



**თბილისში მეულლითურთ ხუთდღიანი ვიზიტით იმყოფება მსოფლიოს მეცამეტე საჭადრაკო ჩემპიონი გარი კასპაროვი.**

რუსული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი საქართველოს შარშანაც ეწვია თავისი ძველი მეგობრისა და ყოფილი მწვრთნელის – დიდოსტატ ზურაბ აზმაიფარაშვილის ნახევარსაუკუნოვან იუბილეზე, მაგრამ ამჟამინდელი სტუმრობის საბაბი მაინც განსაკუთრებულია – მან მონაწილეობა მიიღო სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის პოპულარულ პროექტში „ვის უნდა 20 ათასი“, სადაც თხუთმეტივე კითხვას სწორად უპასუხა და მძიმედ დაავადებულ ჩვენს ნორჩ თანამემამულეს სოლიდური სამკურნალო თანხით შეეწია. დიდი მადლობა ამისთვის!

ბუნებრივია, ბრძენთა თამაშის კორიფეს არც თავისი მოწოდება დავიწყნია და გუშინ დედაქალაქის ჭადრაკის სასახლეში ერთდროული პაექრობების სეანსი გამართა 11 დაფაზე და ყველა პარტია მოიგო, თუმცა გადატვირთული პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი, ვფიქრობთ, მკითხველს საფიქრალს გაუჩენს.

ესაა თანამედროვე ქართული ეკონომიკის ამლორძინებელ-მამამთავრის, სწორუპოვარი ინტელექტუალ-ორატორის კახა ბენდუქიძის მიერ დაარსებულ „თავისუფალ უნივერსიტეტში“ ლექციის ჩასატარებლად მიწვევა. ეჭვი არ გვეპარება, რომ დრომოჭმულ სისტემასთან და საზოგადოებაში ათწლეულობით დამკვიდრებულ მანკიერ დოგმებთან დაუღალავად მებრძოლი გარი კიმოვიჩი სათქმელს ქართველ სტუდენტებთანაც პირუთვნელად იტყოდა, მაგრამ საინტერესოა: უახლოეს წარსულში აკადემიური განათლების ალიარებული ცენტრებით დახუნძლულ და გამორჩეულ ქალაქში ასეთი მაღალი რანგის სტუმრის სამასპინძლოდ ნუთუ უფრო პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი არ მოიძებნა.

ვსვამ ამ კითხვას და თავადვე ვპასუხობ: ეტყობა, აღარც არსებობს, რადგან ბენდუქიძემ და მისმა პარტიულმა თანამებრძოლებმა ნაცმპანის შვიდწლიანი პარპაშის ეპოქაში ძალიან ბევრი ღირებულის განადგურება მოასწრეს, მათ შორის – განათლების კერების. ჰოდა, ამის შემდეგ ნუღარც გვიკვირს დამხვდურთა ასეთი არჩევანი.

**გია პლატონიშვილი**

ფეხბურთი

# ახალი მიჯნა – 70 გოლი



**„მესტალიას“ სტადიონი ერთი ჩვეულებრივი ესპანური სპორტული ნაგებობაა. ამიერიდან ვალენსიის ეს სარბიელი მთელ საფეხბურთო სამყაროს დაამახსოვრდება.**

**ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩის 64-ე წუთზე „შალკეს“ დებიუტანტმა რაულმა თანამემამულეთა კარში საპასუხო ბურთი გაიტანა – 1:1 და ევროპული საკლუბო ტურნირების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა 70 გოლით. უწინდელი მიღწევა – 69 გოლი ლეგენდარულ გერმანელ სნაიპერს გერდ მიულერს ეკუთვნოდა.**

იმ საღამოს აღსანიშნავი კიდევ ის გახლდათ, რომ ანგარიში ასევე მადრიდის „რეალში“ დაფრთიანებულმა სოლდადომ გახსნა. მოკლედ, მართალია, პირენეულ გრანდს კარგა ხანია ტიტული აღარ ღირსებია, მაგრამ მის წიაღში გამოჩეკილი ბარტყები კვლავაც თვალსაჩინო როლებს ასრულებენ კონტინენტურ ბატალიებში.

რაც შეეხება თვით შეხვედრას, მიმომხილველები გარკვეულ უპირატესობას მასპინძლებს ანიჭებდნენ, რომლებსაც პრიმერა-დივიზიონის შვიდი უკანასკნელი ბრძოლიდან ექვსი ჰქონდათ მოგებული, თუმცა ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ გელზენკირხენელთა წინა ორი ვიზიტი „მესტალიაზე“ ფრედ დასრულდა.



როგორც ვხედავთ, ფელიქს მაგათის შეგირდებმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს.

ესპანეთში დამყარებულმა რეკორდმა გარკვეულწილად დაჩრდილა გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტის – „მილანის“ სენსაციური საშინაო მარცხი „ტოტენჰემთან“ – 0:1 (კრაუჩიძ. ზოგს შეიძლება გაუკვირდეს, თუ რატომ მივიჩნევთ მოულოდნელობად პრემიერლიგის ერთ-ერთი „ყოჩის“ გამარჯვებას, რომელსაც გუნდის ტრავმირებული ლიდერი ბეილი აკლდა. მათ შევახსენებთ, რომ „როსონერი“ „სერია-ა“-ს ერთპიროვნული ლიდერია, რომელსაც მეტოქესთან შედარებით გაცილებით მეტი საკადრო პრობლემა დაუგროვდა (იმ წვიმიან საღამოს „სან-სიროზე“ თამაშის შესაძლებლობას სხვადასხვა მიზეზის გამო მოკლებულნი იყვნენ კასანო, ვან ბომელი, პირლო და ემანუელსონი, ხოლო მეკარე აბიატი დებიუტშივე დაიმტვრა და შესაცვლელი გახდაძ. თუმცა, ვისაც ორრაუნდიანი დუელის ბედი უკვე გადაწყვეტილი ჰგონია, ვფიქრობთ, ან ცდება, ან ჩქარობს. დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ლონდონში ჰარი რედნაპსა და კომპანიას არანაკლებ რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევს.

**გიორგი შოთაძე**

რაგბი

# იქნებ აწი მაინც

უკრაინასთან (62:3ძ და ესპანეთთან (60:0ძ ასტრონომიული ანგარიშებით მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ საქართველოს მორაგბეთა ეროვნული



ნაკრების ქომაგებს იმედი ჰქონდათ, რომ „ბორჯღალოსნები“ IRB-ის (რაგბის საერთაშორისო კავშირიძ ტრადიციულ რეიტინგში მცირედით მაინც დაწინაურდებოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ევროპის ერთა თასის გათამაშებაში ნაჩვენები დადებითი შედეგები არც ისე ძვირად ფასობს – რიჩი დიქსონის ბიჭებმა თებერვლის გამოკითხვის შემდეგ მე- 15 პოზიციას ინარჩუნებენ.

თუმცა, არც მთლად მასეა საქმე – იმ შემთხვევაში, თუ ჩვენებურები 26 თებერვალს ლისაბონში 15 და მეტი ქულის სხვაობით მოუგებენ პორტუგალიელ „ლობუშებს“, ერთი საფეხურით წინ წაიწევენ და კანადას გაუცვლიან ადგილს. ეს რომ უაღრესად ძნელი განსახორციელებელი იქნება, მეტოქის მიერ ჩვენსავით წარმატებით აღებული სტარტი მოწმობს – პირენეელებმა ჯერ შინ სძლიეს რუმინეთს – 24:17, ხოლო მეორე ტურში სტუმრად დაამარცხეს რუსული დათვი – 21:19.

**რაც შეეხება მოწინავეთა ოცეულს, იგი ასე გამოიყურება:** 1. ახალი ზელანდია – 93.19, 2. ავსტრალია – 87.45, 3. სამხრეთ აფრიკა – 86.44, 4. საფრანგეთი – 83.61, 5. ინგლისი – 83.24, 6. ირლანდია – 80.95, 7. არგენტინა – 78.97, 8. უელსი – 78.88, 9. შოტლანდია – 77.96, 10. ფიჯი – 74.05,11. სამოა – 74.02, 12. იტალია – 72.86,13. იაპონია – 71.45, 14. კანადა – 69.19, 15. საქართველო – 68.21, 16. აშშ – 67.69, 17. ტონგა – 67.35, 18. რუსეთი – 64.46, 19. რუმინეთი – 64.38, 20. პორტუგალია – 63.81 ქულა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

## საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელები – ცინგლიანები?

სწორედ ასე უწოდა ფეხბურთში საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა ნაკრების ფეხბურთელებს, შარშან სამხრეთ აფრიკაში მსოფლიო ჩემპიონატზე მას ბოიკოტი რომ გამოუცხადეს და პროტესტის ნიშნად ვარჯიში ჩაშალეს. მაშინ გუნდიდან დაითხოვეს ნიკოლა ანელკა. ხოლო თავად დომენეკი ტურნირის დამთავრების შემდეგ ნაკრებიდან წავიდა.

ყოფილმა მწვრთნელმა ფრანგი ფეხბურთელები ცინგლიანებად მოიხსენია ჟურნალისთვის L' Express მიცემულ ინტერვიუში, რომელიც მთლიანად გუშინ გამოქვეყნდა, მისი ზოგიერთი ნაწილი კი ცნობილი სამშაბათს გახდა.



დომენეკის თქმით, ის იმედოვნებდა, რომ ჩემპიონატზე ფრანგები პირველ ადგილს დაიკავებდნენ, ფაქტობრივად კი ისინი მერვედფინალშიც ვერ მოხვდნენ. მეტიც, A ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ბოიკოტში დამნაშავეებად მიიჩნიეს გუნდის კაპიტანი პატრის ევრა, ფეხბურთელები ფრანკ რიბერი, ჟერემი ტულალანი და ერიკ აბიდალი.

## როცა ოლიმპიადა მოახლოვდა

**2012 წლის ლონდონის ზაფხულის ოლიმპიადამდე მხოლოდ წელიწადი და ხუთი თვე დარჩა. ის ხომ მომავალ წელს 27 ივლისიდან 12 აგვისტომდე უნდა გაიმართოს ინგლისის დედაქალაქში.**

**სწორედ ლონდონში გამოქვეყნდა ოლიმპიადის შეჯიბრებათა განრიგი და ბილეთების ფასები. როგორც ჩანს, გამოუშვებენ 8,8 მილიონ ბილეთს, რომელთა ფასი იქნება 20 გირვანქიდან 2 ათას გირვანქა სტერლინგამდე. შეჯიბრებები გაიმართება სპორტის 26 სახეობაში, ბილეთების გაყიდვა კი დაიწყება 15 მარტიდან – ოლიმპიადის დაწყებამდე 500 დღით ადრე.**

თითოეული ბილეთის მფლობელს შეეძლება არჩეული შეჯიბრების დღეს ქალაქში უფასოდ მგზავრობა. გაიყიდება საოჯახო ბილეთებიც შეღავათიან ფასებში. მაგალითად, დედას, მამას და მათ ორ შვილს შეეძლებათ ბალახის ჰოკეის, წყალბურთისა და კალათბურთის მატჩების ნახვა 1-2 აგვისტოს 180 გირვანქა სტერლინგად.



უფასოდ შეიძლება შეჯიბრებების ნახვა ღია ცის ქვეშ – ასეთია მარათონი, ტრიატლონი და ველორბოლები.

ოლიმპიადის გახსნა მოეწყობა 27 ივლისს. მისი ბილეთებიც 20-დან 2 ათას გირვანქა სტერლინგამდე ეღირება.

ორგანიზატორები იმასაც აღნიშნავენ, რომ ბილეთების 90 პროცენტი გაიყიდება 100 გირვანქაზე ნაკლებ ფასად.

როგორც ადგილობრივი მიმომხილველები აღნიშნავენ, ყველაზე იაფი ბილეთები (ის კი 2,5 მილიონი ცალი დაიბეჭდებაძ ალბათ მხოლოდ შეჯიბრებათა საწყის ეტაპზე გაიყიდება.

ისიც გახდა ცნობილი, რომ ქალთა საფეხბურთო ტურნირის 3 მატჩი, აგრეთვე ჯგუფური რაუნდის შეხვედრები გლაზგოში, კარდიფსა და კოვენტრიში გაიმართება 25 ივლისს, ოლიმპიადის გახსნამდე ორი დღით ადრე.

## ჟურნალის ყდა დაამშვენა

**რუსეთელმა მოდელმა და სახელგანთქმული ფეხბურთელის, „რეალის“ თავდამსხმელის კრიშტიანუ რონალდუს საცოლემ 25 წლის ირინა შეიკმა მონაწილეობა მიიღო ჟურნალის Sports illustrated Swimsuit სპეციალური ყოველწლიური გამოშვებისთვის ფოტოსესიაში, თანაც მისი ყდაც დაამშვენა.**

ამ პრესტიჟულ ჟურნალში მოხვედრას ყველა მანეკენი როდი ახერხებს. ყველაზე პოპულარულნიც კი ამაყობენ იქ დამკვიდრებით. როგორც ჩანს, ირამ ბოლო მომენტამდე არ იცოდა, რომ სწორედ ის დაამშვენებდა ჟურნალის ყდას. ეს მისთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო.





გადაღებები მიმდინარეობდა ჰავაისა და ფილიპინების პლაჟებზე. ირინა მიმზიდველ საბანაო კოსტიუმში იყო გამოწყობილი. ამ ჟურნალის ყდაზე, რომელიც 1964 წლიდან გამოდის, თავის დროზე დაიბეჭდა ტაირა ბენქსის, სინდი კროუფორდისა და ნაომი კემპბელის ფოტოები.

კრივი

# ძმები კლიჩკოები ჯერ არ მიდიან

**როგორც კრივში IBF, IBO და WBO ვერსიებით სუპერმძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმირ კლიჩკომ განაცხადა, ის და ასევე მსოფლიო ჩემპიონი, მისი უფროსი ძმა ვიტალი კლიჩკო არ აპირებენ კარიერის დასრულებას, ვიდრე არ დაეუფლებიან WBA სერიის ქამარსაც, რომელსაც ახლა ბრიტანელი დევიდ ჰეი ფლობს. ძმებს იმედი აქვთ, რომ ბრიტანელი ან ერთ-ერთ მათგანს შეებრძოლება, ან კრივიდან წავა და**



**ძმებთან საბრძოლველად სხვა ვინმე გამოინახება.**

ვლადიმირი ეჭვობს, რომ ჰეი კარიერას ოქტომბერში ისე არ დაამთავრებს, თუ რომელიმე მათგანთან ბრძოლას არ გამართავს.

19 მარტს კელნში ვიტალის WBC ვერსიით ტიტულის დასაცავად ბრძოლა ექნება კუბელ ოდლანერ სოლისთან, შემოდგომაზე კი ერთ-ერთი ძმა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატისთვის პოლონეთში აგებულ სტადიონზე შეხვდება ტომაშ ადამეკს.

## წერილი რედაქციას

# ერთი უდავო გაუგებრობის გამო

**პატივცემულო მკითხველო!**

**სანამ მთავარ საკითხს მოგახსენებდეთ, ერთი ნაწყვეტი მინდა მოვიყვანო ზურაბ ქარუმიძის რომანიდან, რაზედაც წინასწარ ბოდიშს გიხდით! (ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა", №1, 2011 წ.ძ:**

**„ადე, შაქრო, კისლავოდსკში ვართ" – ჩაესმა ძილ-ბურანიდან გამორკვეულ შაქრო კარმელს. ხელი საბნის ქვეშ შეაცურა და ყვერები მოიფხანა. მერე სირიც მოისინჯა – ქვასავით გამაგრებოდა, ძილში დაგროვებული ენერგიით დატენილი: „ის" უკვე ამდგარიყო. სიზმრის ლატენტური მოქმედება, როგორც რომ იტყვის პროფესორი ფრეიდ... და კიდევ ფიზიოლოგიურის წვენთა შერევა და ურთიერთქმედება ძილის დროს. „აი, რა ახდენს გაღვიძებისას ამ ეროტიულის ენერგიის გენერირებას", – გაიფიქრა შაქრომ და გაიზმორა. გაზმორებისას სირმა თავისაკენ მოქაჩა... და ა. შ.**

აღარ მინდა მკითხველი ამ პათოლოგიურ-ფროიდისტული შედევრით შეურაცხვყო, მაგრამ საქმე შემდეგშია: მსოფლიო ლიტერატურაში დადგენილი წესით, რომელიმე მწერლის ფსევდონიმი გვართან ერთად განუყრელია ერთმანეთისაგან: ვაჟა-ფშაველა, შიო არაგვისპირელი, ლეო ქიაჩელი, ალ. აბაშელი, დია ჩიანელი, მარკ ტვეინი, ო' ჰენრი და ა. შ. მეოცე საუკუნის 20-იან წლებში გარკვეულ ძალებს სურვილი ჰქონდათ დაემცირებინათ და არევ-დარევა შეეტანათ „ცისფერყანწელთა" რიგებში. გრ. რობაქიძე გაზეთ „საქართველოში" 1920 წელს გამოქვეყნებულ წერილში „შუამდინარელს", ასეთი ეპითეტებით ამკობს მას: „წარმოდგენილი გაქვთ რომელიმე მწერალი, რომელიც სხვისი სახელით გამოდიოდეს ლიტერატურაში! წარმოდგენილი გყავთ ისეთი მწერალი, რომელმაც, მაგალითად, თავისი თავი გამოაცხადოს ან რონსარად ან რაბლედ?! უკანასკნელი სიყალბე უნდა იყოს ადამიანის ბუნებაში, რომ ამ სახით აცხადოს მან თავის თავი. სრულიად მოკლებული უნდა იყოს ადამიანი საკუთარ ვინაობას, რომ მიითვისოს სხვისი ვინაობა" (გაზ. „საქართველო", 1920, №98ძ.

ზურაბ ქარუმიძე კი „ცისფერყანწელი" პოეტის შალვა კარმელის ფსევდონიმს ამოფარებია, უფრო სწორად თავის მოქმედ პირს, ხოლო პოეტი შალვა კარმელი (გოგიაშვილიძ, ამ ფსევდონიმით დამკვიდრებულია ქართულ პოეზიაში 1916 წლიდან (გაზ. „საქართველო"ძ.

1923 წელს ტიციან ტაბიძე ასე ემშვიდობება ტუბერკულოზით ტანჯულ 23 წლის პოეტს: **„თუ „ცისფერი ყანწების" გამართლება, როგორც ორდენის, არის მისტიური სიყვარული, სამუდამო მეგობრობა და ძმობა, მაშინ შალვა კარმელი იყო უმცროსი და საყვარელი ძმა ბენიამინი. მისი სპეტაკი სული და უცოდველი ყრმის ცხოვრება სამუდამო მოგონებაა პოეზიის სიწმინდის... და გამართლება ამ სტრიქონების იყოს ის ცრემლები, რომელიც დაედინება პირველს დაღუპულ მართლა ხორციელ ძმას ჩვენი ორდენისას, რომელმაც კარმელი მონოზონის სიწმინდით გაიარა თავისი გზა პოეზიაში და წუთიერი ჩვენებით დაღალა ჩვენი სული სამუდამო სიყვარულით და სამუდამო ატირებით" (ტიციან ტაბიძე, „რუბიკონი" №3, 1923ძ.**

საერთოდ, ასეთ შემთხვევაში, ავტორები ბოდიშს მაინც იხდიან სხვისი ფსევდონიმის გამოყენებისათვის.

**ნუგზარ გოგიაშვილი**

## წიგნი

# ოჯახი – აღზრდის საფუძველი




**დღევანდელი საქართველოს უმთავრეს პრობლემათაგან ერთ-ერთი არსებითია სწავლა-განათლების სისტემის, ადამიანის აღზრდის ხელოვნების სრულყოფა. იგი უნდა შეესაბამებოდეს ხალხთა ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების პროცესს, რომელიც გლობალიზაციის სახით შემოდის ჩვენს ყოფასა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში.** ამ პროცესების ყველაზე მგრძნობიარე კატალიზატორი კი ქართული ოჯახია. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ამ თემის კვლევას მიეძღვნა პროფესორ **ამირან მექვაბიშვილის** შრომა **„ქართული ოჯახი, ტრადიციები და თანამედროვეობა"**, რომელიც ამ დღეებში ცალკე წიგნად გამოიცა. წიგნი შედგება სამი თავისგან. პირველი: ჭეშმარიტი ადამიანური ურთიერთობანი ქალსა და მამაკაცს შორის; მეორე: ქართულ ოჯახი, ტრადიციები; მესამე: გლობალიზაცია და ქართული ოჯახი XXI საუკუნის გარიჟრაჟზე.

აღნიშნულ თავებში საგნობრივად არის განხილული ის თავისებურებანი, რაც აღზრდის პროცესს ახასიათებს. წიგნში ბევრ საინტერესო, საჭირო მასალას, მოსაზრებას შეხვდება როგორც პედაგოგიკის საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტი, ისე რიგითი მკითხველი.

**იზოლდა ქაფიაშვილი,**
**პროფესორი**

## ჯანმრთელობა

# გრიპი არ არის, თუ მაგარი იმუნიტეტი გაქვთ!

**ყოველწლიურად პლანეტის ყოველი მეხუთე მცხოვრები ავადდება გრიპით. ახალი სეზონის მოსვლასთან დაკავშირებითაც ვირუსული ინფექცია მიმდინარეობს სულ უფრო ხანგრძლივად და მძიმედ, რაც გრიპის ცვალებადობით აისახება. ავადმყოფობის პერიოდში მნიშვნელოვნად ეცემა იმუნიტეტი. ინტოქსიკაცია თენთავს ორგანიზმს და იწვევს ქრონიკულ დაავადებათა პროვოცირებას.**

ამ ცოტა ხნის წინათ მეცნიერებმა გამოაქვეყნეს ღორის გრიპის ყველაზე გავრცელებული სიმპტომები. ღორის გრიპი ხომ დღეს მსოფლიოში მძვინვარებს. ვირუსული ინფექცია იწყება ყელში ლიტინით და მშრალი ხველებით, მეორე ან მესამე დღეს იწყება უმნიშვნელო შემსუბუქება ვირუსსაწინააღმდეგო პრეპარატების მიღების შემდეგ, მაგრამ მალე ყველაფერი ბრუნდება ახალი ძალით. გრიპს თან ახლავს საერთო უქეიფობა, რისი მიზეზიც – მწვავე ინტოქსიკაციაა.



ნებისმიერი ვირუსული ინფექციის დროს სტანდარტული თერაპიის გარდა აუცილებელია ორგანიზმის გასუფთავება პათოგენური მიკროორგანიზმებისგან, და პირველ რიგში საკვების გადამუშავების ტრაქტისა, სადაც ყველაზე მეტი იმუნური უჯრედი ებრძვის ინფექციებს. ამაში დაგვეხმარება პრეპარატები – სერბენტები. სხვათა შორის, ისინი ძალიან გამოგვადგება გრიპის თავიდან ასაცილებლად, ვინაიდან ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ წინააღმდეგობის გაწევის ამაღლებას. პროფილაქტიკისთვის სერბენტები უნდა გამოვიყენოთ 14 დღემდე წლის ცივ დროს. შემდეგ შეიძლება გავახანგრძლივოთ წამლის მიღება ასეთივე პერიოდით, თუმცა შესვენება უნდა გავაკეთოთ ერთი კვირით. ხანგრძლივი კურსის დროს აუცილებელია პოლივიტამინების კომპლექსებისა და კალციუმის პრეპარატების დამატება.

### პოლისორბი – გრიპისა და გაციების წინააღმდეგ

ექიმები განგაშს ტეხენ გრიპის, მათ შორის ღორის გრიპის ეპიდემიის გამო. გრიპოზული ინტოქსიკაცია თენთავს ორგანიზმს, იწვევს გართულებებს, ქრონიკულ დაავადებებს. არ არის გამორიცხული სიკვდილიც.

ნებისმიერი გრიპისა და მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციის (მრვიძ დროს ავადმყოფური მდგომარეობის ძირითადი მიზეზია ტოქსიკურ ნივთიერებათა სიუხვე. მათგან თავის დაცვაში დაგვეხმარება სილიციუმის სორბენტი-პოლისორბი. ასეთი გაწმენდის შემდეგ ხდება სხეულის ტემპერატურის შემცირება, თვითშეგნების გაუმჯობესება, გართულებათა წარმოქმნის რისკის დაქვეითება.

პოლისორბი შესანიშნავად ხსნის ინტოქსიკაციას ანტიბიოტიკებისა და სხვა ძლიერმოქმედი პრეპარატების მიღების შემდეგ. ის, მომწამვლელი ნივთიერებების გამოდევნის შემდეგ, აღადგენს ბუნებრივ იმუნიტეტს.

გრიპის დროს ინტოქსიკაციის მოხსნისა და ორგანიზმის პროფილაქტიკური გასუფთავებისათვის მოზრდილები პოლისორბს ღებულობენ 5-10 დღის განმავლობაში 1 სუფრის კოვზს (3 გრამიაძ დღეში 3-ჯერ ჭამამდე ერთი საათით ადრე. საბავშვო დღიური დოზა 0, 15 გრამია წონის 1 კილოგრამზე 3-ჯერ დღეში. ფხვნილს ხსნიან 0,25-0,5 ჭიქა წყალში.

აქვს საწინააღმდეგო მაჩვენებლები: მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

## წარდგინება

# რატომ გვექვირფასება „ასი ლექსის" 50 კრებული...

**გამომცემლობა „ინტელექტმა" საგამომცემლო სერია „ასი ლექსის" 50 ტომის გამოფენა-წარდგინებას უმასპინძლა. „თიბისი" ბანკის საგამოფენო დარბაზში „ასი ლექსის" სახელწოდებით გამოსული 50 პოეტური კრებული გამოიფინა და მისი ყველა თანამედროვე ავტორი, კრებულების შემდგენელი ლიტერატორები შეიკრიბნენ.**




„ინტელექტის" პიარხელმძღვანელის მარიკა ბაკურაძის თქმით, გამომცემლობამ დაასრულა კრებულთა სერიის პირველი ნახევრის გამოცემა. 2005 წელს, გალაკტიონის ასი ლექსის დასტამბვის შემდეგ, დაიწყო ეს სერია და XX-XXI საუკუნის უამრავი ავტორი წარმოჩინდა.

– თქვენი აქ ყოფნა ნიშნავს ქართული პოეზიისადმი სიყვარულს, მომდევნო 50 ტომსაც უცილებლად გამოვცემთ და პროექტს ბოლომდე მივიყვანთ, – დასძინა კახმეგ კუდავამ.

საქართველო პოეზიის ქვეყანაა, აქ ყველამ იცის ფასი პოეზიისა, სიყვარულისა. ჩვენ განებივრებული ვართ წიგნებით, მაგრამ ბატონმა კახმეგ კუდავამ ყველა მოლოდინს გადააჭარბაო, – აღნიშნეს გამომსვლელებმა: ნოდარ ტაბიძემ, ვახტანგ ჯავახაძემ, ლია სტურუამ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ტარიელ ჭანტურიამ, მანანა ჩიტიშვილმა, გენო კალანდიამ, გულბათ ტორაძემ...

ვახტანგ ჯავახაძის თქმით, 1925 წელს ჟურნალ „მნათობში" გალაკტიონის 100 ლექსი გამოქვეყნდა, ხოლო 1961 წელს ქუთაისში გალაკტიონისვე 100 ლექსი წიგნად გამოიცა. ეს იდეა 100 ლექსისა არსებობდა საქართველოში, მაგრამ „ინტელექტმა" საბოლოოდ განახორციელა. ვინც ამ საგამომცემლო სერიას შეიძენს, პოეზიის მდიდარი ბიბლიოთეკა ექნება სახლშიო. ვახტანგ ჯავახაძემ ურჩია „ინტელექტის" მესვეურთ, რომ მიხეილ ქვლივიძისა და ნაზი კილასონიას 100 ლექსიც გამოიცეს.

მანანა ჩიტიშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ამ 50 გამოცემული ავტორის 300 ავტოგრაფის წიგნში თავმოყრა, ხელნაწერში მწერლის ხასიათი იკითხებაო.

საღამოზე ითქვა, რომ მკითხველმა ასი ლექსის ეგიდით მიიღო ლაზური და მეგრული პოეზია, მზადდება სვანური ხალხური პოეზიის 100 ლექსიც. ასევე, გამოცემულ ავტორთაგან 100 ლექსი თურქულ და ფრანგულ ენებზე ითარგმნა, მალე გამოვა კრებული ინგლისურ ენაზეც.

„ინტელექტმა" სარბიელი ახალგაზრდებსაც დაუთმო. უკვე არსებობს კრებული – ახალგაზრდა პოეტების ასი ლექსი. ახალგაზრდა პოეტების სახელით სალომე ბენიძემ მადლობა გადაუხადა „ინტელექტის" ხელმძღვანელობას.

გამომცემლობა „ინტელექტს" დაგეგმილი აქვს „ასი ლექსის" კიდევ 50 კრებულის გამოცემა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## კ ო ნ კ უ რ ს ი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ეროვნული არქივი აცხადებს კონკურსს **გენერალური დირექტორის მოადგილის** ვაკანსიაზე.

თანამდებობრივი სარგო: 2,500 ლარი.

**ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები:**

- ორგანიზაციის მენეჯმენტი;
- ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვა, განხორციელება, კონტროლი და შესაბამისი ანგარიშების მომზადება საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვების, სამეურნეო საქმიანობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების საქმიანობის კუთხით;
- ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვა, განხორციელება, კონტროლი და შესაბამისი ანგარიშების მომზადება;
- გენერალური დირექტორის არყოფნის დროს, მისი უფლება-მოვალეობების შესრულება.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება, სასურველია მაგისტრის დიპლომი
- მენეჯერულ პოზიციაზე 1-წლიანი სამუშაო გამოცდილება
- საფინანსო სფეროში მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა
- მართვის უნარი
- ანალიტიკური აზროვნება
- წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი
- გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს გთხოვთ, გამოგზავნოთ საპლიკაციო ფორმა (იხილეთ დანართი საქართველოს ეროვნული არქივის საიტზე: www.archives.gov.geძ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: avacharadze@archives.gov.ge **2011 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.** გთხოვთ, მიუთითოთ სასურველი პოზიციის დასახელება სათაურის ველში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი კანდიდატურა არ განიხილება.

**სააპლიკაციო ფორმის მიტანა შესაძლებელია საქართველოს ეროვნული არქივის მოქალაქეთა მისაღებშიც, მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №1.**

## დაიჯესტი

### იუანი, დოლარის კონკურენტი

**ექსპერტები, დიდი ხანია ვარაუდს გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ჩინეთის ეროვნული ვალუტა იუანი დოლარს ღირსეულ კონკურენციას გაუწევს და, შესაძლოა, მისი ჩანაცვლებაც კი შეძლოს მსოფლიო ეკონომიკაში.** ამის პრეცედენტი ცოტა ხნის წინათ ჩინეთის საზღვაო საკურორტო და გასართობ ქალაქ დილიანში მოხდა, რომლის ხელისუფლებამ ტრანსსასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობათა დროს დოლარის იუნათი ჩანაცვლების ექსპერიმენტული პროექტის განხორციელება დაიწყო, რომელშიც რამდენიმე დიდი ბანკი და საწარმო მონაწილეობს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ექსპერიმენტი შარშან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაიწყეს და მასში თანდათანობით ჩინეთის უდიდესი ქალაქები ერთვებიან. ექსპერტები აცხადებენ, რომ ეროვნული ვალუტით ანგარიშსწორებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც შიდა, ისე საგარეო ეკონომიკური კავშირების გამყარების თვალსაზრისით.



აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად საქართველოში მიღებული კანონისა, ეროვნული ვალუტის, ლარის ქვეყნის ტერიტორიაზე ერთადერთ საგადასახადო საშუალებად გამოცხადების თაობაზე, ეს კანონი ჩვენში, სხვების დარად, ცუდად „მუშაობს“.

### სწორება მამიკოზე

**გოგონები, რომლებსაც ადრეული ბავშვობიდანვე კარგი ურთიერთობა ჰქონდათ მამებთან, მომავალში უფრო ხშირად ისეთ ახალგაზრდებს იწონებენ, რომლებიც მათ მამებს ჰგვანან, ასკვნიან ინგლისელი ფსიქოლოგები, რომლებიც იმის გარკვევას ცდილობდნენ, თუ რა უფრო იზიდავს ქალებს მამაკაცებში.** ისინი ქალიშვილებს სხვადასხვა, განსხვავებული ტიპის მამაკაცების სურათებს აჩვენებდნენ, თანაც სკოლამდელ ასაკში თავიანთ მამებთან ურთიერთობის დახასიათებას სთხოვდნენ. ისინი, ვისთვისაც ეს დრო ტკბილი მოსაგონი იყო, თავიანთ მამებს მიმგვანებულ ახალგაზრდა მამაკაცებს უფრო იწონებდნენ.



მათ კი, ვისთვისაც ბავშვობაში მამასთან ახლო ურთიერთობა რამდენადმე უცხო ხილი იყო, მათი მსგავსი მამაკაცების მიმართ უარყოფითად განეწყობოდნენ ხოლმე.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი თავის ტვინი გარშემო მყოფთაგან იდეალური სახის მოდელს უბრალოდ მოსაწონი ნაკვთების შერჩევით კი არ აღგენს, არამედ ამ ნაკვთებს იმათ უკავშირებს, ვისთანაც ოდესღაც კეთილი ურთიერთობა გვქონია.

### ბუნებრივი ჩასახვის ეპოქის დასასრული

**ამერიკელ მეცნიერთა აზრით, დაახლოებით ათი წლის შემდეგ შვილის გაჩენის მსურველ წყვილებს ბავშვის ყოლა ექსტრაკორპორალური განაყოფიერების (ეოგძ მეშვეობით შეეძლებათ.** ისინი ირწმუნებიან, რომ ეს პროცედურა შეასუსტებს იმ წნეხს, რომელსაც ის მეუღლეები განიცდიან, რომლებიც შვილის ყოლას კარიერის გამო სდებენ. ეოგ-ი მეუღლეთათვის ბავშვის ჩასახვის შანსებს ზრდის, რადგან 35 წლის ასაკის შემდგომ ბუნებრივი გზით ჩასახვის ალბათობა ერთი ათთან შეფარდებით გამოიხატება. გამოკვლევის ავტორები ხაზს უსვამენ ხელოვნური განაყოფიერების პროცესის სწრაფ განვითარებას, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ შინაურ ცხოველებზე ტარდება და რა საქმეშიც თითქმის 100-პროცენტიანი შედეგია მიღწეული. თანაც აცხადებენ, რომ ამ პროცესის ადამიანებთან ადაპტირება არავითარ ტექნოლოგიურ სიძნელეს არ წარმოადგენს.

### რატომ ჩქარობდა მძღოლი „კლიენტის“ სასაფლაოზე მიყვანას?



**გზაზე სიჩქარის გადაჭარბებისთვის დაჯარიმების ერთობ კურიოზული ამბავი მოხდა ირლანდიაში, სადაც ადგილობრივმა საგზაო პოლიციამ... მთელი სამგლოვიარო კორტეჟი დააჯარიმა.** საქმე ის არის, რომ გზის იმ მონაკვეთზე, სადაც სიჩქარე საათში 50 კილომეტრითაა შეზღუდული, ავტოკატაფალკის მძღოლი რატომღაც 80 კილომეტრით (?!ძ მიჰქროდა, დანარჩენი ავტომანქანები კი ცდილობდნენ მას არ ჩამორჩენოდნენ.

თუ რატომ ჩქარობდა ასე კატაფალკის მძღოლი, ამის თაობაზე მას ვერაფრით ათქმევინეს.

### ახალი, ყველაზე ეკონომიური

**მსოფლიოში ყველაზე ეკონომიური ავტომანქანის გამოშვებას გეგმავს იაპონური კონცერნის „ტოიოტას“ შვილეული კომპანია „დაიაცუ“, რომელიც, ინჟინერთა ჩანაფიქრით, ჰიბრიდულ მოდელებთან შედარებითაც კი ნაკლებ საწვავს მოიხმარს.** მოდელის გაყიდვა გასაყიდად წლის დამდეგიდან დაიწყეს. ახალ მოდელს ახალი, 660 კუბური სანტიმეტრის მოცულობის ძრავი აქვს, რომელიც ას კილომეტრზე 2,8 ლიტრ საწვავს მოიხმარს. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ სადღეისოდ ყველაზე ეკონომიკური ჰიბრიდი „ტოიოტა პრიუსი“ ამავე მანძილზე 3 ლიტრზე მეტ საწვავს საჭიროებს.

### ცხოვრების სტატისტიკა, საშუალო მაჩვენებლები

**გერმანელმა მკვლევარებმა თავიანთი ქალბატონების ამა თუ იმ საქმიანობაზე დახარჯული დროის საშუალო სტატისტიკური „პორტრეტი“ შექმნეს.** აღმოჩნდა, რომ სიცოცხლის მანძილზე, რომლის საშუალო ხანგრძლივობა 78 წელია, გერმანელი ქალბატონები გადაბმულად ორ კვირას ლოცვას ანდომებენ, 6 თვეს – მოგზაურობას, 5 წელს – ჭამა-სმას, თითქმის 25 წელს კი – ძილს. გარდა ამისა, 9 თვის მანძილზე ისინი რეცხავენ და ტანსაცმელს აუთავებენ, ხოლო სასიყვარულო პრელუდიის თვენახევრის პერიოდს ორგაზმის 16 საათი ემატება.



***ცნობილ მეცნიერს და გამომგონებელს, სახელგანთქმულ მეგზვევს, სამაგალითო მეგობარსა და მეოჯახეს, ბატონ თამაზ შილაკაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ ხანგრძლივ ნაყოფიერ შრომას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.***

**საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე დიმიტრი კოტეტიშვილი, საბჭოს მდივანი რევაზ ტყემალაძე**

## ანონსი

**2011 წლის 18 თებერვალს (პარასკევსძ 13 საათზე, საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში (ალ. ყაზბეგის გამზირი №45, VI სართულიძ ჩატარდება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სადისკუსიო ფორუმის საჯარო სხდომა, სადაც მოსმენილ იქნება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტის დემურ ღაღანიძის მოხსენება თემაზე:**

### ფარული მსოფლიო მთავრობა – მითი თუ რეალობა?

**დასწრება თავისუფალია, მაგრამ საამისოდ პირადობის მოწმობის წარდგენა დამსწრეთა აღრიცხვისთვის აუცილებელია.**

**ალექსანდრე კუჭუხიძე,**
**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;**

**თამაზ იმედაძე,**
**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სადისკუსიო ფორუმის სწავლული მდივანი, აკადემიკოსი.**

## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობის დროს ამაზონის სანაპიროზე მდგარი ამერიკელი ტურისტი მკვლელმა ფუტკრებმა დაკბინეს. მათგან თავის დასაღწევად მსხვერპლი მდინარეში გადაეშვა, სადაც ის პირანიებმა რამდენიმე წუთში შესანსლეს.

● ქარბუქის დროს ჩიკაგოელმა მამაკაცმა მანქანის სადგომის თოვლისაგან გაწმენდას ორი საათი მოანდომა. მანქანით უკან დაბრუნებულმა კი აღმოაჩინა, რომ გაწმენდილი ადგილი ქალს დაეკავებინა. განრისხებულმა მამაკაცმა იარაღი ამოიღო და ქალი ადგილზევე მოკლა.

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

## კადრი



## ანეკდოტები

ქმარი უგონოდ მთვრალი ბრუნდება შინ.
– იდიოტო, კრეტინო, დეგენერატო, უტვინო, არამზადა, – აკაპასდა ცოლი.
გვერდითი ოთახიდან ბავშვის ხმა გაისმის:
– დე, მე მეძახი?!

* * *

კახელი ტურისტი ცოლთან ერთად აფრიკელმა ველურებმა დაიჭირეს, ხეზე მიაბეს და გარშემო ცეკვავენ.
– გაუპატიურება არ აგვცდება, – უთხრა ცოლმა ქმარს.
– არა, შეგვჭამენ.
– სულ საჭმელზე როგორ უნდა იფიქრო, შე უბედურო?!



* * *

ორი ქალი საუბრობს:
– როგორ მომრავლდა განქორწინებები. ამბობენ, მხოლოდ ყოველი მეათე ქორწინება იღბლიანიო. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?
– ვერაფერს გეტყვით, ჯერჯერობით, მე მხოლოდ მეოთხედ გავთხოვდი.

* * *

ქმარი ეუბნება ცოლს:
– ქვირფასო, შენი ვარცხნილობა საოცარ სიზმარს მაგონებს.
ცოლი არ დაიბნა:
– შენი მელოტი კი – შიშველ რეალობას.

* * *

რა კარგი ბიჭი მეზრდება, მიუხედავად იმისა, რომ დეგენერატი ქმრისგან მყავს.

* * *

გურული და მეგრელი მონადირეები საუბრობენ:
– ისეთი ჭკვიანი ძაღლი მყავს, ძამა, რომ პურზე ვაგზავნი ხანდახან.
– ჩემი თვითონ აცხობს, – იყო პასუხი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.